



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**თემა: ირიბი ჩვენების გამოყენების წესი
საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

დავით მერაბიშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნინო ბოჭორიშვილი

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	8
თავი II. ირიბი ჩვენების წესი	9
2.1. ირიბი ჩვენების წესი - არსი და წარმოშობის ისტორია	9
2.2. ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება	12
თავი III. ქართული კანონმდებლობა	16
3.1. ჩვენების ცნება და მნიშვნელობა	16
3.2. ირიბი ჩვენება ქართულ კანონმდებლობაში	19
3.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება	24
თავი IV. საერთაშორისო კანონმდებლობა	37
4.1. ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები	37
4.2. ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა	38
4.3. სასამართლო გადაწყვეტილებები	43
4.4. ამერიკის შეერთებული შტატები და მისი კანონმდებლობა	48
თავი V. კვლევის შედეგები	54
დასკვნა	56
გამოყენებული ლიტერატურა	58

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ირიბი ჩვენების გამოყენების წესი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ კონტექსტში, ეროვნულთან ერთად განხილულია ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა.

სანამ ვრცელ მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ რომ გადავხედოთ, დასავლეთ ევროპული ქვეყნების ნაწილი კონკრეტულ გამონაკლისებს უშვებს ირიბი ჩვენების დასაშვებობისას. ამერიკული მოდელი მოიცავს საკმაოდ ფართო გამონაკლისებს, ასევე ფართო კანადური მოდელიც, თუმცა ამ შემთხვევაში ფაქტის შეფასება მოსამართლეზეა დამოკიდებული. ირლანდიასა და ბრიტანეთში პრეცედენტული სამართლით დადგენილი წესები არაერთმნიშვნელოვანია, ბალანსი დაცული მოსამართლის დისკრეციასა და კონკრეტული გამონაკლისების განსაზღვრას შორის. ქართულ საპროცესო სამართალს ყველაზე კარგად შეესაბამება ესტონური მოდელი, სადაც კონკრეტული გამონაკლისები ჩამოთვლილია საკანონმდებლო დონეზე.

ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით.

აქედან გამომდინარე, სწორედ ირიბი ჩვენების არსსა და მნიშვნელობას შევხებით ქვემოთ მოცემულ თავებში.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

Rule of application of indirect evidence is discussed in the present work according to international and national legislation. Hence, legislation and practice of Europe and countries of common law with national is discussed in this context.

Before making a broad review, to review in brief, the part of west European countries make concrete exceptions for admissibility of indirect evidence. American model includes wide exceptions; Canadian model is also wide, though in this case the fact is assessed by a judge.

The rules mandated by precedent law in Ireland and Britain are ambivalent, the balance is observed between discretion of judge and determining of concrete exceptions. Estonian model is the best appropriate to Georgian procedural law, where concrete exceptions are listed at legislative level.

Indirect evidence, in general is less reliable evidence, its application includes risk of wrong perception regarding to guilt of person and thus may only be permitted in exceptive cases, under providence of constitutional guarantees and statutory rule.

Hence, the main point and significance of indirect evidence will be underlined in below given chapters.

The work includes annotation, table of contents, introduction, the main topic (that is divided into chapters and sub chapters), conclusion and list of used literature.

შესავალი

თემის აქტუალობა. სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი მტკიცებულებებს უჭირავს, ვინაიდან ის განაპირობებს სასამართლოში საქმის წარმართვის მიმართულებას და საბოლოო შედეგის საფუძველი ხდება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს მოწმის ჩვენება წარმოადგენს, რაც გულისხმობს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. იმისათვის, რომ მოწმის ჩვენება პროცესში დასაშვები მტკიცებულება იყოს, მოწმეს უნდა შეეძლოს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროზე მითითება, მას ასევე უნდა ჰქონდეს უნარი, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები. მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობის არსებობისას, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზეც.¹

მოწმის პირდაპირი ჩვენების გარდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის ირიბი ჩვენების ინსტიტუტს. ირიბ ჩვენებას აქვს ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ამ ინფორმაციის ჯვარედინი დაკითხვით გადამოწმება შეუძლებელია. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დასტურდება სხვა მტკიცებულებით, რომელიც ირიბ ჩვენებას არ წარმოადგენს. მოწმის დაკითხვის წესის ახალი პროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა, სისხლის სამართლის პროცესში გარკვეული სახის ცვლილებებსა და სიახლეებს ითვალისწინებს. უფრო ზუსტად, როგორც განმარტებითი ბარათით არის განსაზღვრული, კანონპროექტის მომზადება სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მტკიცებულებებთან, მათ შორის, ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასაკმარისი რეგულაციების არსებობამ განაპირობა. პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაციაა „განაგონის“ ცნება, რომელიც უფრო ვიწრო მნიშვნელობის მქონე ტერმინის - „ირიბი ჩვენების“ ნაცვლად არსებობს, ამ ცნების დეფინიციაში კი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისი კონკრეტული ელემენტები. კერძოდ, განაგონის ცნება სცდება ირიბი ჩვენების ჩარჩოს და მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მესამე პირმა გამოხატვის სხვადასხვა ფორმით შეიძლება გადმოსცეს. კანონპროექტი აწესრიგებს, აგრეთვე, ბრალდებულისა და მოწმის ნასამართლობის ან ხასიათის ნიშან-თვისებების შესახებ მტკიცებულებების წარდგენის საკითხს და ამ მიზნით

¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლი;

განსაზღვრავს ამგვარი მტკიცებულების დაუშვებლობის პირობებს, ისევე როგორც - შემთხვევებს, როდესაც მხარეს შეუძლია სასამართლოში ასეთი მტკიცებულებების გამოყენება.

კანონპროექტში ბევრად უფრო დეტალურად არის განმარტებული მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები, რომელთა ერთობლიობაც აუცილებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი პროცესის წარმმართველი პირისათვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრებას ითვალისწინებს. კერძოდ, მოსამართლეს უჩნდება ვალდებულება, სამართლიანი და გონივრული კონტროლი გაუწიოს მოწმის დაკითხვის პროცესს, რათა უზრუნველყოს პროცესის ეფექტიანობა და თავიდან აიცილოს დროის გაჭიანურება თუ სხვა უკანონო ქმედებები.²

კანონის ენით: სსსკ-ის 76-ე მუხლი განსაზღვრავს ირიბი ჩვენების დეფინიციას და მის დასაშვებობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ირიბია მოწმის ისეთი ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესზე ასეთი ჩვენება დასაშვებია, თუკი პირს შეუძლია, მიუთითოს ინფორმაციის წყაროზე. ხოლო სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელსაც მოსარჩელე მხარე სადავოდ მიიჩნევს, ადგენს, რომ „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებათა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით“.

2013 წლის 14 ივნისს სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში გახორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვით, სადავო ნორმა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებათა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“.

სსსკ-ის 76-ე მუხლი აწესრიგებს სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ჩვენების არსსა და მისი დასაშვებობის საკითხებს. აღნიშნული მუხლი უშუალოდ არ ადგენს მტკიცებულებების გამოყენების წესს, არ განსაზღვრავს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც უნდა დაედოს საფუძვლად პირის ბრალდებას ან მის მსჯავრდებას. ასეთი წესი მოცემულია სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის მიხედვით, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ამდენად, სსსკ-ის 76-ე მუხლი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილთან და 169-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთობლიობაში ქმნის ნორმატიულ საფუძველს,

² ირიბი ჩვენებები, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა - საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, თბ., 2016 წ., გვ. 4

რომელიც ირიბ ჩვენებას არა მხოლოდ ბრალის წაყენებისთვის, არამედ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისთვის ერთ-ერთ ვარგის მტკიცებულებად აქცევს.

კონსტიტუციის მიხედვით, „დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ“ და საბრალდებო დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ“ წარმოადგენს კონსტიტუციურ ტერმინს, რომელსაც ავტონომიური მნიშვნელობა აქვს და გულისხმობს აქტს ან გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც იწყება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, მისთვის ბრალის წაყენება. მოცემული კონსტიტუციური დანაწესი მოითხოვს, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, მისთვის ბრალის წარდგენა არ გახორციელდეს არსებითად მცდარი, გაყალბებული, არასაკმარისად სანდო ან მეტწილად საეჭვო მტკიცებულებების საფუძველზე.

კვლევის მიზანი: თემის მიზანია, ქვემოთ მოცემულმა და გაანალიზებულმა საერთაშორისო კანონმდებლობამ და პრაქტიკამ ხელი შეუწყოს სსსკ-ში გახორციელებული ცვლილებების უკეთ აღქმას და დაინტერესოს როგორც მოქმედი, ასევე მომავალი იურისტებიც, ასევე უკეთ ჩავუღრმავდეთ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს და განვიხილოთ ისინი.

კვლევის ამოცანა: თემის ამოცანაა, ღრმად ჩაწვდეს ქართული თუ უცხო ქვეყნების კანონმდებლობის იმ მაკავშირებელ და განმასხვავებელ დეტალებს, რომლებიც თან აახლოებს და თან აშორებს ირიბი დაკითხვის წესთან დაკავშირებულ მიდგომებს სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან, განვიხილოს ისინი ცალ-ცალკე და შემაჯამებელი დასკვნა გამოიტანოს.

კვლევის მეთოდები: თემაზე მუშაობისას, კვლევა ვაწარმოე თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელზეც ლიტერატურულ მიმოხილვაში მოგახსენებთ - ეს იყო სამეცნიერო თუ ნორმატიული ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ გამეკეთებინა საკუთარი დასკვნები და ისე დამეწერა წინამდებარე ნაშრომი. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით დაიწერა ზოგიერთი თავი და ქვეთავი, რათა უკეთ დაგვეჩვენა სხვაობა და კავშირი ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას შორის იმ საკითხთან მიმართებით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, წიგნები უშუალოდ ირიბი ჩვენების განხილვის კუთხით ანდა სტატიები ამ საკითხზე ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც კი ძალზე მწირია, ამიტომ დიდი დახმარება გამიწია ინტერნეტ-რესურსებმაც, რომლებიც მითითებულია სქოლიოშიც და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს ირიბი ჩვენების გარშემო. ასეთები იყო: გ. თუმანიშვილის „სისხლის სამართლის პროცესი“, ი. ურუშაძის „ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში“ და გ. იმნაძის „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი“, რომელიც შედარებით-სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენს და მრავალმხრივ გვაჩვენებს საკითხის მთავარ მახასიათებლებს. ასევე, საინტერესო იყო შ. ტრექსელის „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ და ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველა წიგნი გამოცემულია 2015-2018 წლების შუალედში და მათში ახლებურად არის დანახული ირიბი ჩვენების წესის არსი და მნიშვნელობა. შესაძარებლად საინტერესო იყო „სისხლის სამართლის ქრონიკები“ და ირიბი ჩვენებები - საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა“;

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N 741 – II ს.; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება: საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

ქართული ლიტერატურის მსგავსად, ჩემთვის მეტად საჭირო და ინფორმაციული გამოდგა უცხოური ლიტერატურაც, რომელიც ან ინტერნეტით მოვიძიე, ანდა ქართულ მასალებში იყო მოხსენიებული. ასეთები იყო: Turner Kenny’s Outlines of Criminal Law, მოხსენიებულია: ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“ და Wigmore Evidence in Trials at Common Law. ასევე, გამომადგა და დახმარება გამიწია ინტერნეტით მოძიებულმა მასალებმაც.

თავი II. ირიბი ჩვენების წესი

2.1. ირიბი ჩვენების წესი - არსი და წარმოშობის ისტორია

ირიბი ჩვენების წესი კრძალავს ისეთი ჩვენების სასამართლოში დასაშვებობას, რომლის პირველწყაროც არის სხვა პირი და არა უშუალოდ ის, ვინც სასამართლოს წინაშე იძლევა ჩვენებას. აქედან გამომდინარე, ამგვარ ჩვენებაში მოხსენიებული ფაქტების ნამდვილობის შემოწმება სასამართლოში ვერ ხერხდება.³ სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტთან ერთად, ირიბი ჩვენების წესი უკავშირდება მტკიცების ანგლო-ამერიკულ მოდელს, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება და რომელშიც მხარეები მთლიანად არიან პასუხისმგებელნი თავიანთი პოზიციის დასაბუთებაზე.⁴

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ირიბი ჩვენების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, მე-13 საუკუნეში ჩამოყალიბდა და მალევე გაჩნდა მისი სასამართლო განხილვებიდან გამორიცხვის აუცილებლობაც. ეს უკანასკნელი გაპირობებული იყო იმით, რომ სასამართლოები მივიდნენ დასკვნამდე, რის მიხედვითაც მხარეების მიერ მოწმის დაკითხვა სამართლიანი სასამართლოს უფლებას მიეკუთვნებოდა. აქედან გამომდინარე, როდესაც სასამართლოში მოხსენიებული ფაქტების ნამდვილობისა და სანდოობის გადამოწმება მეორე მხარეს არ შეეძლო იმის გამო, რომ მისი ავტორი არ იყო წარმოდგენილი განხილვაზე, სასამართლოები ასეთ ჩვენებას დაუშვებლად ცნობდნენ ირიბი ჩვენების წესის საფუძველზე.

ირიბი ჩვენების სასამართლოზე განხილვისას დაუშვებლობა - ანუ იგივე ირიბი ჩვენების წესი - გავრცელებული იყო შუა საუკუნეების პროცესებშიც. როგორც აღინიშნა, მისი წარმოშობა და შესაბამისი წესების გავითარება დიდწილად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკავშირდებოდა.⁵ იმ დროს, ნაფიცი მსაჯულები არაფორმალურად ეხმარებოდნენ გამოძიებას და ლოკალური ცოდნის მეშვეობით გამოჰქონდათ ვერდიქტი. მაშინ ნაფიცი მსაჯულები შეირჩეოდნენ არა ნეიტრალურობისა და ობიექტურობის კრიტერიუმებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ინფორმირებულნი იყვნენ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე,

³ ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“, გვ. 11, 2010 წ.,

<http://www.lawreform.ie/fileupload/hearsayfull.pdf>

⁴ Wigmore Evidence in Trials at Common Law (3rd ed Little Brown & Co., 1974) at 20-28, მოხსენიებულია: ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის ქვეყნებში“, გვ. 11, 2010 წ.;

⁵ Turner Kenny's Outlines of Criminal Law, 1966;

მნიშვნელოვანი იყო, მსაჯულების წინასწარ არსებული ცოდნა ყოფილიყო უტყუარი და საეჭვო წყაროზე არ ყოფილიყო დაყრდნობილი. ახლანდელი ფორმით არსებული მოწმის ჩვენების ინსტიტუტი უკვე მოგვიანებით, მე-16 საუკუნეში გავითარდა. ამ დროიდან, მოწმის ჩვენება სასამართლოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებად იქცა.

ქრონოლოგია ასე გამოიყურება: დაახლოებით მე-16 საუკუნის ბოლოს, ირიბი ჩვენება დასაშვები იყო, მაგრამ სასამართლოებში მის მიმართ დამოკიდებულება იცვლებოდა. მე-17 საუკუნის ბოლოს დიდ ბრიტანეთში რამდენიმე სასამართლომ უარი განაცხადა ასეთი მტკიცებულების დაშვებაზე. მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში, ირიბი ჩვენება ჯერ კიდევ დასაშვები იყო, თუმცა დასაშვებობისთვის აუცილებელი იყო სხვა ისეთი მტკიცებულების არსებობა, რომელიც გაამყარებდა ირიბ ჩვენებას.⁶

მე-19 საუკუნის დასაწყისში, ირიბი ჩვენების წესი, რომლის მიხედვითაც ირიბი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა ხდებოდა, უკვე დამკვიდრებული იყო დიდ ბრიტანეთში. მიზეზი იმისა, თუ რატომ დამკვიდრდა ეს წესი, სამართლის ისტორიკოსებს შორის დღესაც სადავო საკითხია. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი ვიგმორი მიიჩნევდა, რომ ზემოაღნიშნული წესის გავითარებას ხელი შეუწყო ნაფიცი მსაჯულების მიერ ირიბი ჩვენების შეფასების შესაძლებლობის მიმართ არსებულმა სკეპტიკურმა განწყობამ.⁷ სხვები ფიქრობენ, რომ ამგვარი მტკიცებულების დაუშვებლობის საკითხი გაპირობებული იყო ჯვარედინი დაკითხვის შეუძლებლობით, რითაც მეორე მხარეს ეზღუდებოდა საკუთარი პოზიციის დაცვის უფლება.⁸ იმის გამო, რომ სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ნაფიცი მსაჯულები, არც თუ იშვიათად, ვერ აცნობიერებდნენ მოსამართლის მიერ მათთვის მიცემულ სამართლებრივ მითითებებსა და განმარტებებს, მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ იქმნებოდა საფრთხე, ნაფიც მსაჯულებს ირიბი ჩვენებისათვის იგივე წონა მიენიჭებინათ, რაც პირდაპირ მტკიცებულებას აქვს.⁹

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის, ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით ორი ძირითადი მიდგომა ჩამოყალიბდა: 1. ყველა ირიბი ჩვენების გამორიცხვის წესი (ინკლუზიური გამონაკლისების გათვალისწინებით); 2. ირიბი ჩვენების ზოგადად დასაშვებად ცნობა (ექსკლუზიური

⁶ Turner Kenny's Outlines of Criminal Law, 1966;

⁷ Wigmore Evidence in Trials at Common Law, 3rd ed Little Brown & Co., 1974, at 29, ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“, 2010 წ., გვ. 15

⁸ იქვე: გვ. 15

⁹ იქვე: გვ. 22

გამონაკლისების გათვალისწინებით).¹⁰ როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ექსკლუზიური მიდგომა გახდა დომინანტი და სწორედ ეს წესი დამკვიდრდა პრაქტიკაში.¹¹

იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა კვლევის მიხედვით ნაფიცი მსაჯულები ხშირად სრულად ვერ აცნობიერებდნენ მოსამართლის მიერ მათთვის მიცემულ სამართლებრივ მითითებებსა და განმარტებებს, მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ იქმნებოდა საფრთხე - ნაფიც მსაჯულებს ირიბი ჩვენებისათვის იგივე წონა მიენიჭებინათ, რაც პირდაპირ მტკიცებულებას აქვს.

¹⁰ Wigmore Evidence in Trials at Common Law, 3rd ed Little Brown & Co., 1974, at 29, ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“, 2010 წ., გვ. 24

¹¹ გ. იმნაძე, ირიბი ჩვენების გამოყენების წესი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2015 წ., გვ. 6

2.2. ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება

როგორც წესი, დანაშაულის პრევენცია, ისევე როგორც დამნაშავის მიმართ შესაბამისი სასჯელის გამოყენება, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას ემსახურება. შესაბამისად, დამნაშავის მიმართ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის გახორციელების მყარი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. სასჯელის უმთავრეს მიზანს კი დამნაშავის გამოსწორება და შესაძლო პასუხისმგებლობის გამო ადამიანების მიერ დანაშაულის ჩადენის თავშეკავების იძულება წარმოადგენს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სისხლისსამართლებრივმა დევნამ არ გამოიწვიოს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. ასეთ დროს, ერთის მხრივ, სახელმწიფო უდანაშაულო პირის მიმართ გაუმართლებლად მძიმე ღონისძიებას, იგივე სასჯელს იყენებს, ხოლო მეორეს მხრივ, იკარგება სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის გამოყენების მიზანი. მაშინ, როცა კანონმდებლობა შესაძლებელს ხდის უდანაშაულო პირის მსჯავრდებას, ექვეყნებ დგება მის საფუძველზე დამნაშავის გამოსწორებისა და დანაშაულის ჩადენისაგან თავშეკავების იძულების მიღწევა.

უნდა გვახსოვდეს, რომ უდანაშაულო პირის დამნაშავედ ცნობისა და მისი დასჯის თავიდან ასაცილებლად, დემოკრატიულ საზოგადოებაში ბრალდებული აღჭურვილია მთელი რიგი უფლებებით, რომლებიც ადამიანის დაუსაბუთებელი და მხოლოდ ეჭვზე დამყარებული დევნის პრევენციას უზრუნველყოფს. ამის გამოძახილია ის მოთხოვნა, რომ ბრალდება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მტკიცებულებებს. გარდა ამისა, კანონმდებლობა ადგენს „მტკიცებულებების ავთენტურობის შემოწმების მოთხოვნას - ვალდებულებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მიზანია, გამორიცხოს ყალბი, სახეშეცვლილი და არასანდო მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობა.“¹²

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსკ) მე-3 მუხლის თანახმად, მტკიცებულება არის „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა ის, ასევე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა

¹² საქართველოს კონსტიტუცია, 1995

და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ/ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო, კინო, ვიდეო ბერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით“.¹³

კანონი განასხვავებს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს, აქედან კი გამოყოფს ნივთიერ მტკიცებულებებსა და მოწმის ჩვენებას. ნივთიერი მტკიცებულება თვითონ შეიცავს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ხოლო მოწმის ჩვენება სასამართლოსთვის ადამიანის მონათხრობია, რომელიც აწვდის მისთვის ცნობილ, ბრალდებულის დამნაშავეობა/უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

მოწმის ჩვენება შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი. პირდაპირია მოწმის ჩვენება, როდესაც ის სასამართლოს მოუთხრობს იმ ფაქტებს, რომელსაც უშუალოდ შეესწრო და რომლის შესახებ ინფორმაციის პირველწყარო თავადაა. ხოლო ირიბია ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში, მოწმე ჩვენებას აძლევს იმ ფაქტებზე, რომელიც მას სხვა პირისგან შეიტყო. შესაბამისად, სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადების სასამართლოსთვის მიწოდება ხდება არა თავად განცხადების ავტორის, არამედ - სხვა პირის მიერ.

ირიბი ჩვენების ბრალდებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად გამოყენების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვარის გადაწყვეტილების შედეგად. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებამდე, საპროცესო კანონმდებლობა უშვებდა ბრალდების ან გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის დროს ირიბი ჩვენების გამოყენებას თუ იგი დასაშვები მტკიცებულება იყოს სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად. ამ უკანასკნელის მე-2 ნაწილის თანახმად, ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იყო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებდა ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელი იყო. ხოლო საქმის არსებით განხილვაზე, იგი დასაშვები მტკიცებულება იყო თუ დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებით. 2013 წლის 14 ივნისს დაზუსტდა 76-ე მუხლის მე-3 პუნქტი და მიეთითა, რომ სხვა მტკიცებულება, რომელიც ირიბი ჩვენების დასადასტურებლად გამოიყენებოდა, არ უნდა ყოფილიყო ირიბი ჩვენება. შესაბამისად, კანონმა გამორიცხა ირიბი

¹³ ი. ურუშაძე, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2015 წ., გვ. 8

ჩვენების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ იმავე ინფორმაციას სხვა (გარდა მეორე ირიბი ჩვენებისა) მტკიცებულებაც არ ადასტურებს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ არსებულ საკანონმდებლო რეალობას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი და ძალადაკარგულია. აქედან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ირიბი ჩვენება არ შეიძლება გამოყენებული იქნას არც პირის ბრალდებისას და არც მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სათანადო ცვლილებების გახორციელებამდე.¹⁴

ქართული კანონმდებლობისათვის ირიბი ჩვენება ხანგრძლივი ისტორიის მქონე ინსტიტუტს არ წარმოადგენს და მისი მოწესრიგების საკითხიც აქამდე ფართო მსჯელობის საგანი არ გამხდარა. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებამ ცხადყო, რომ ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი მოწესრიგება დიდწილად განსაზღვრავს ქვეყანაში მართლმსაჯულების ხარისხს. ზოგადად, მტკიცებულებების, მათ შორის ირიბი ჩვენების გამოყენების საკითხს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ბრალდების დადგენილება და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.¹⁵

სსსკ-ის 76-ე მუხლში 2013 წელს შევიდა ცვლილება, რომელიც კავშირშია ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტასთან უშუალოდ სასამართლო პროცესზე, კერძოდ: „ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.“ „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, ირიბი ჩვენება დასაშვებია

¹⁴ ი. ურუშაძე, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2015 წ., გვ.7

¹⁵ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995, მუხლი 40, ნაწ. 3 <https://matsne.gov.ge>

მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“.¹⁶

ამ ცვლილების მიუხედავად, მაინც არის მისი დასაშვებობის საკითხი ექვექვემ, ვინაიდან კანონმდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავს - წინასასამართლო სხდომის მოსამართლე რეალურად ახდენს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირებას და ამოწმებს მის არსებობას თუ უბრალოდ ხდება პასუხის გაცემა კითხვაზე, რამდენადაა შესაძლებელი წყაროს იდენტიფიცირება და მისი ნამდვილობის დადგენა. რაც შეეხება მეორე ცვლილებას, რომელიც სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილს მოიცავს, კანონის ეს ჩანაწერიც ბუნდოვანია. გაურკვეველია, მთლიანად მტკიცებულების შინაარსი უნდა დასტურდებოდეს სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება, თუ ინდივიდუალურად ირიბ ჩვენებაში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. დასადგენია, თუ ირიბი ჩვენების მხოლოდ ნაწილი დასტურდება, სასამართლომ უნდა მიიღოს თუ არა ასეთი მტკიცებულება უტყუარ მტკიცებულებას და უნდა დაამყაროს თუ არა მასზე გამამტყუნებელი განაჩენი. ამ ცვლილების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი ირიბი ჩვენების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით, თუმცა ამ საკითხზე საქმის წარმოება შეწყდა იმის საფუძველზე, რომ არსებული ცვლილებები ემსახურებოდა ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობასა და მის პრაქტიკაში უკეთ გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ირიბი ჩვენების მოწესრიგების უნივერსალური მოდელი, რომლითაც ყველა სახელმწიფო იხელმძღვანელებდა. კონკრეტულ სამართლებრივ სისტემებში აღნიშნულ ინსტიტუტს განსხვავებული მოწესრიგება აქვს და მისი სასამართლო განხილვაზე დაშვება თუ გამორიცხვა სხვადასხვაგვარი პროცედურებით ხორციელდება. ზოგადად, ირიბი ჩვენება ნაკლები სანდოობის მქონე მტკიცებულებად მიიჩნევა და ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისას მისი გამოყენებით გამოწვეული შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ადეკვატური მექანიზმების არსებობა, რაც შესაძლებელს გახდის ამ მტკიცებულების სანდოობის შემოწმებას.¹⁷

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი №741 – II ს, 27.06.2013 წ. <https://matsne.gov.ge>

¹⁷ სისხლის სამართლის ქრონიკები, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, ე. ჩაჩუა, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, თბ., 2018 წ., გვ. 119

თავი III. ქართული კანონმდებლობა

3.1. ჩვენების ცნება და მნიშვნელობა

ყველამ უნდა იცოდეს, რომ სამართალწარმოების პროცესში, მხარეთა მიერ თავიანთი პოზიციების მტკიცებისას, განსაკუთრებული როლი მოწმის მიერ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებას ენიჭება. სისხლის სამართლის გამოძიებისა და შემდგომ საქმის სასამართლოში მსვლელობის ეტაპზე, სადაც უკვე მომხდარ ფაქტზე სრულყოფილი სურათის აღდგენა, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და მათი შეფასება ხდება, მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.¹⁸

პირისთვის მოწმის სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია შინაარსობრივ და ფორმალურ ასპექტებზე. ზუსტი განმარტებით, მოწმე არის პირი, რომელმაც პირადად დაინახა, მოისმინა ან სხვაგვარად შეესწრო ისეთ ქმედებას, რომელიც მნიშვნელოვანია ფაქტის დადგენისთვის, ხოლო ფორმალური ასპექტი სახეზეა მას შემდეგ, რაც მოწმეს განემარტება მისი სტატუსი, უფლება-მოვალეობები და მოხდება ფიცის დადება.¹⁹ მოწმის განმარტებასთან დაკავშირებით, მსგავსი შინაარსის ჩანაწერს ვხვდებით ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც: მოწმე არის „პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსს და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ.“²⁰

მოწმის სტატუსიდან და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაფასებელია ის პროცესუალური ბერკეტები, რომლის მეშვეობითაც მხარეები ამოწმებენ და იკვლევენ ერთმანეთის მიერ მოწვეული მოწმის ჩვენების სანდოობას, რელევანტურობასა და ნამდვილობას. მკვლევართა აზრით, ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების გამოკვლევის უფლებას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი და კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია მისი შეზღუდვა. თუმცა, უფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გამონაკლისი, ექსტრემალური შემთხვევებისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა, რაც ბრალდებულის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას, ან

¹⁸ სისხლის სამართლის ქრონიკები, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, ე. ჩაჩუა, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, თბ., 2018 წ., გვ. 120

¹⁹ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009 წ., გვ. 320

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 პუნქტი

მტკიცებით პროცესში სამართალდამცავი სისტემისთვის არაადეკვატური ბარიერების შექმნას გამორიცხავდა.²¹

რაც შეეხება ჩვენების ნამდვილობასა და უტყუარობას, ჩვენების შემოწმების ყველაზე ეფექტურ გზას გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წინაშე მისი პირდაპირი და ჯვარედინი წესით დაკითხვა წარმოადგენს. სასამართლოს წინაშე მოწმის უშუალოდ დაკითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფონზე, რომ მისი ჩვენება, შესაძლოა, მრავალი შეცდომის წყარო გახდეს - ფაქტები დამახინჯდეს მათი დამახსოვრებისას, ან არასწორად განიმარტოს გახსენების დროს.²² ამ კუთხით, კიდევ უფრო მეტ რისკებთან შეიძლება ასოცირდებოდეს მესამე პირისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიცემული ჩვენების (ირიბი ჩვენება) საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინება. ასეთი ჩვენების ავთენტურობისა და სიზუსტის ხარისხი კიდევ უფრო მეტ ეჭვს აღძრავს, ვინაიდან ის მინიმუმ ორი ადამიანის სუბიექტური აღქმის, ფაქტების დამახსოვრებისა და მათი სწორად გადმოცემის უნარებს ემყარება. პროცესის მონაწილე მხარეების თანაბარი პროცესუალური ბერკეტებით აღჭურვა, გამოიკვლიონ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები, რომელთა შორის მოწმეთა ჩვენებებიცაა, პირდაპირ კავშირშია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპთან.²³ ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის დაკონკრეტებული²⁴ ერთი მხრივ, მოქმედების პერიოდის, მეორე მხრივ კი, შინაარსის თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად კი, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი იმ მომენტიდან ხდება სავალდებულოდ დასაცავი, რაც პირს მიენიჭება ბრალდებულის სტატუსი, ანუ კონკრეტულ საქმეში ბრალდების მხარის საპირისპიროდ გაჩნდება დაცვის მხარე და ეს პრინციპი მოქმედებს საქმის დასრულებამდე. ხსენებული პრინციპი შინაარსობრივად გულისხმობს მხარეების თანაბარ შესაძლებლობას – კანონმდებლობით დადგენილი წესით დააყენონ შუამდგომლობები, მოიპოვონ, გამოითხოვონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები. ის არ გულისხმობს მხარეთა სრულიად იდენტური სამართლებრივი ბერკეტებით აღჭურვას, მაგრამ კანონმდებლობა მთლიანობაში უნდა უზრუნველყოფდეს მხარეთა თანასწორობას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას - მოიპოვონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები. რომელიმე მხარისთვის დამატებითი ბერკეტის მიენიჭება ან პირიქით, მისთვის რაიმე ტიპის შეზღუდვის დაწესება უნდა იყოს საგამონაკლისო

²¹ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009 წ., გვ. 315

²² შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009 წ., გვ. 323

²³ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი

²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი

ხასიათის და თითოეული ასეთი შემთხვევა ადეკვატურად ბალანსდებოდეს. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება, მათ შორის, მოწმის დაკითხვისა და ჩვენებების შემოწმებაზე რელევანტურობის, ავთენტურობისა და უტყუარობის თვალსაზრისით.

3.2. ირიბი ჩვენება ქართულ კანონმდებლობაში

ირიბი ჩვენების, სხვა მტკიცებულებებისგან განსხვავებული წესით მოწესრიგებას, ქართულ კანონმდებლობაში არ აქვს ხანგრძლივი ისტორია და ის უკავშირდება სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებას. კანონში არსებული ჩანაწერის მიხედვით, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.²⁵

აღნიშნული განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ტერმინ „ირიბ ჩვენებაში“ იგულისხმება პირის მიერ როგორც ვერბალურად, ისე რაიმე სხვა ფორმით სასამართლოს გარეთ გავრცელებულ ინფორმაციაზე მეორე პირის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემა. ირიბი ჩვენების განმარტებას მინიმალური ცვლილებაც არ განუცდია და ის დღესაც იმ ფორმით არის გადმოცემული საპროცესო კოდექსში, როგორსაც კოდექსის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა. თუმცა, მნიშვნელოვანი ცვლილებები გახორციელდა მისი დასაშვებობისა და გამოყენების წესების განმსაზღვრელ ნორმებში. ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და გამოყენების პირობებს საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი განსაზღვრავს, მაგრამ მასში რიგი საკითხები ღიად არის დატოვებული. აღნიშნული მუხლი ორ ეტაპზე ითვალისწინებს ირიბი ჩვენების შემოწმების შესაძლებლობას. პირველად ეს ხდება წინასასამართლო სხდომაზე, სადაც მოწმდება ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს თუ არა ინფორმაციის წყაროს. 2013 წლიდან წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულების დასაშვებობისთვის ასევე აუცილებელ კრიტერიუმად განისაზღვრა, რომ მოწმის მიერ დასახელებული წყარო იძლეოდეს იდენტიფიცირებისა და მისი რეალურად არსებობის შემოწმების შესაძლებლობას.²⁶

ერთი მხრივ, აღნიშნული სიახლე წარმოადგენს საკმაოდ მაღალ სტანდარტს ჩვენების უტყუარობისა და ავთენტურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რადგან ის არამართო სავალდებულოდ მისათითებლად თვლის ზოგადად ინფორმაციის წყაროს, არამედ თანადროულად ადგენს, რომ უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, მოხდეს დასახელებული წყაროს იდენტიფიცირება და იმის შემოწმება, არსებობს თუ არა ასეთი წყარო რეალურად.

მეორე მხრივ, კანონში არ არის დაკონკრეტებული, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე რეალურად ახდენს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირებას და ამოწმებს მის არსებობას, თუ უბრალოდ ხდება კითხვაზე პასუხის გაცემა, რამდენადაა შესაძლებელი წყაროს იდენტიფიცირება

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 76-ე მუხლი

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 76- მუხლი

და მისი ნადვილობის დადგენა. ირიბი ჩვენების მეორე ეტაპზე შემოწმება უკვე საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას

ხდება და ამ დროს მოწმდება მისი მიმართება სხვა მტკიცებულებებთან: „სასამართლოში არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.“²⁷

აქაც, 2013 წლიდან შემოდის ახალი, უფრო მაღალი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, ირიბი ჩვენების ვარგის მტკიცებულებად მიჩნევისათვის, საჭიროა არამარტო მისი დადასტურება სხვა მტკიცებულებით, არამედ ისიც, რომ ჩვენების დამადასტურებელი მტკიცებულება არ იყოს ასევე ირიბი ჩვენება. კანონის აღნიშნული ჩანაწერიც გარკვეულწილად ბუნდოვანია - გაურკვეველია, რამდენად სრულად უნდა დასტურდებოდეს ირიბი ჩვენება, საჭიროა თუ არა, მასში მოყვანილი ყველა ფაქტობრივი გარემოება ინდივიდუალურად დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებით (რომელიც არ იქნება ირიბი ჩვენება), თუ ჩვენების ზოგადი შინაარსის დადასტურებაც საკმარისია მისი ვარგისად მიჩნევისათვის. შეუძლია თუ არა მოსამართლეს ავტონომიურად ამ საკითხის გადაწყვეტა, თუ აღნიშნული საფუძვლით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისთვისაც, აუცილებელია მხარის შუამდგომლობა. ამავდროულად, პასუხგაუცემელია, რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ირიბ ჩვენებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების ნაწილი გამყარებულია სხვა მტკიცებულებებით, ნაწილი კი - არა. ასეთი ვითარების წარმოქმნა მთლიანად ირიბი ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველია თუ მხოლოდ ნაწილის?

ტერმინოლოგიურ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ნორმაში ყურადღება გამახვილებულია საქმის არსებითი განხილვისას მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საფუძვლებზე, მაშინ, როდესაც საქმის წარმოების ამ ეტაპზე უკვე ყველა მტკიცებულება დასაშვებადაა ცნობილი. შესაბამისად, თუკი წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნეული ირიბი ჩვენება არ დადასტურდება სხვა მტკიცებულებით, ეს უნდა იყოს ჩვენების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რა დროსაც მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს არ ექნებათ უფლება, გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნონ მას. ამ კონტექსტში, შესაძლოა წამოიჭრას უფრო ფუნდამენტური პრობლემაც: კანონმდებელი შედარებით დაბალ სტანდარტს ადგენს წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულების დასაშვებობისთვის, ხოლო შემდეგ ამ მტკიცებულებას უფრო რთული ტესტის გავლა უწევს არსებით სხდომაზე, რათა მოსამართლე მას გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს. ერთი შეხედვით, ასეთ მოწესრიგებაში დევს ლოგიკა,

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი;

რადგან წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულების შინაარსში სიღრმისეული შესვლა და მასზე დისკუსია გაუმართლებელი იქნებოდა. თუმცა, თუკი წინასასამართლო სხდომის სტანდარტი ვერ უზრუნველყოფს ნაკლებად სანდო მტკიცებულებების ამ ეტაპიდანვე გამორიცხვას და საბოლოოდ გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის წინაშე ისეთი მტკიცებულება წარსდგება, რომელიც რეალურად არასანდოა, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს მოსამართლის შინაგან რწმენაზე, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მოსამართლე არსებითი განხილვისას ამორიცხვავს თუ არა საქმიდან ამ მტკიცებულებას. პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა კოლეგია და ფაქტობრივად შეუძლებელია იმის დადგენა, რა არგუმენტაციას დაამყარეს მსაჯულებმა ვერდიქტი.

საპროცესო კოდექსში ასევე არაა დაკონკრეტებული, პირის ბრალდებულად ცნობისას ან სასამართლოში მისი პირველი წარდგენის დროს, მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას რა ინტენსივობით და ფარგლებით არის შესაძლებელი ირიბი ჩვენების გამოყენება.²⁸

ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ მოდიფიცირებულ ფაქტობრივ ინფორმაციას, ვინაიდან ირიბ ჩვენებას იძლევა პირი, რომლისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია სხვა პირის მეშვეობით გახდა ცნობილი. ანუ მოწმეს საკუთარი თვალთ არ დაუნახავს ან სხვაგვარად უშუალოდ არ აღუქვამს (არ მოუსმენია, არ განუცდია, არ გაუსინჯავს და ა.შ.) ის გარემოება, რომლის თაობაზეც იძლევა ჩვენებას. ირიბი ჩვენებით დადგენილ ფაქტსა და ინფორმაციის წყაროს შორის არსებობს შუალედური რგოლი და, შესაბამისად, რაც უფრო მეტი შუალედური რგოლი არსებობს წყაროსა და ჩვენების მიმცემ მოწმეს შორის, მით უფრო ნაკლებია მის მიერ მიწოდებული ირიბი ჩვენების სარწმუნოების ხარისხი და მტკიცებულებითი წონა.²⁹

სისხლის სამართალწარმოებაში ირიბი ჩვენების გამოყენებისათვის საპროცესო კოდექსი ადგენს ორ წინაპირობას: 1. მოწმემ სახელდებით უნდა მიუთითოს პირველწყარო, რომ შესაძლებელი იყოს საჭიროების შემთხვევაში მისი დაკითხვა; 2. აღნიშნული ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს საქმეში არსებული ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.³⁰

ირიბი ჩვენების მიმცემმა პირმა უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. სასამართლო უშუალოდისა და სამართლიანი სასამართლოს პრონციპს დაარღვევს, თუ ის მხოლოდ ირიბი ჩვენების მიმცემ

²⁸ გ. იმნაძე, ირიბი ჩვენების გამოყენების წესი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2015 წ., გვ. 24

²⁹ ავტორთა კოლექტივი, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016 წ., გვ. 185

³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 76

მოწმეთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნობა და სათანადოდ არ შეაფასებს საქმის გარემოებათა შესახებ უშუალოდ ინფორმირებული მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებს.³¹

სასამართლო პრაქტიკაში, ირიბი ჩვენების მისაცემად ხშირად იმახებენ საგამომიებო ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელმაც გამოძიების ეტაპზე გამოკითხა შემთხვევის ადგილას მყოფი პირები. შესაძლებელია, რომ დანაშაულის შედეგად, მძიმედ დაჭრილი დაზარალებული გამოკითხოს გამომძიებელმა და შემდგომ საქმის არსებით განხილვის სხდომაზე ამ უკანასკნელს დაზარალებულის გარდაცვალების გამო მოუწიოს ირიბი ჩვენების მიცემა.

ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულებით დადასტურების ვალდებულება წარმოადგენს ირიბი ჩვენების დასაშვებობის სავალდებულო წინაპირობას მხოლოდ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე. აქ საქმე გვაქვს ტერმინოლოგიურ ხარვეზთან, ვინაიდან, როგორც ვიცით, მტკიცებულების დაშვება-არდაშვების საკითხი წყდება წინასასამართლო სხდომაზე, სადაც არა მტკიცებულებათა შინაარსობრივი, არამედ მისი კანონიერი დაშვების საფუძვლები მოწმდება. არსებით სხდომაზე წარსადგენი მტკიცებულებები უკვე დასაშვებ მტკიცებულებად არის ცნობილი და მისი გამოკვლევა მხარეთა მიერ ხდება, რასაც შემდგომ ემყარება განაჩენი. თუ წინასასამართლო სხდომაზე არ მოხდება ირიბი ჩვენების დადასტურება სხვა ისეთი უტყუარი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი, ეს უნდა იყოს ჩვენების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რა დროსაც მოსამართლეს არ ექნება უფლება, გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს მას. აქედან გამომდინარე, გამოძიების სტადიაზე ირიბი ჩვენების გამოყენება აღკვეთის ღონისძიების, ჩხრეკა-ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადებისა და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საპროცესო/საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე სასამართლოს ნებართვის გამოთხოვისას, საგამომიებო ვერსიების შემოწმების, ახალი მტკიცებულებების მოძიებისა და სხვა მიზნებისათვის დაიშვება მაშინაც, თუ ირიბ ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია არ დასტურდება საქმეზე შეკერილი არცერთი სხვა მტკიცებულებით.

საპროცესო კოდექსი ადგენს წყაროს დასახელების ვალდებულებას, მაგრამ არ ადგენს ირიბი ჩვენების სარწმუნოების გადამოწმებისათვის დასახელებული პირველწყაროს დაკითხვის/გამოკვლევის ვალდებულებას. პირველწყაროს მოწვევა პროცესში შესაძლებელია მნიშვნელოვან ობიექტურ და სუბიექტურ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული: გარდაცვალება, დაუდგენელია ადგილსამყოფელი, უარს აცხადებს ჩვენების მიცემასა და სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე, აღარ ახსოვს და სხვ. შესაბამისად, თუ მოწმე მიუთითებს, რომ აღნიშნული

³¹ გ. თუმანიშვილი, სისიხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბ., 2014 წ. გვ. 22

ინფორმაცია მისთვის ცნობილი გახდა აწ გარდაცვლილი მოქალაქისგან, აღნიშნული ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ობიექტურად არ ექნებათ შესაძლებლობა, გადაამოწმონ პირველწყაროს სანდოობა.³²

³² სისხლის სამართლის ქრონიკები, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, ე. ჩაჩუა, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, თბ., 2018 წ., გვ. 124

3.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ეხება ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების გამოყენების კონსტიტუციურობის საკითხს.³³

მოსარჩელე სადავოდ ხდის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“, ხოლო ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით“. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“. აღნიშნული სადავო ნორმებით დადგენილია პირის ბრალდებულად ცნობისა და გამამტყუნებელი განაჩენის მტკიცებულებითი სტანდარტები, ასევე, ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები.³⁴

2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გახორციელებული ცვლილების შედეგად, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, :საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/1/548

³⁴ სისხლის სამართლის ქრონიკები, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, თბ., 2018 წ., გვ. 129

ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

მოსარჩელის მტკიცებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება შესაძლებელია განისაზღვროს არა უტყუარი მტკიცებულებების, არამედ ორი ირიბი ჩვენების, როგორც ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ორი ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

მოსარჩელე მხარემ, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ყურადღება გაამახვილა იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიაზე, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის პროცესში არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები. „ირიბი ჩვენება“, მოსარჩელის აზრით, არასწორი ცნებაა და მისი დამკვიდრება სისხლის სამართლის პროცესულურ კანონმდებლობაში შეცდომისკენ უბიძგებს კანონის გამომყენებელს. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის ახალი რედაქციის ჩანაწერი ირიბ ჩვენებას მაშინ აცხადებს დასაშვებ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. მოსარჩელის განცხადებით, ასეთ შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა, რომ ირიბი ჩვენება, რომელიც დაეფუძნება სხვა ირიბ, ანუ არაპირდაპირ მტკიცებულებას, ერთობლიობაში საფუძვლად დაედოს პირის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს. მისი აზრით, კანონის ამგვარი ინტერპრეტაცია სავსებით შესაძლებელია, რაც მოსამართლეს ანიჭებს თავისუფლებას, ორ არაპირდაპირ მტკიცებულებას დააფუძნოს გამამტყუნებელი განაჩენი. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, აღნიშნული მსჯელობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის არაკონსტიტუციურობის მთავარი ინდიკატორია.

მოსარჩელემ ასევე ხაზი გაუსვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილს და გამოყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის აუცილებელი კრიტერიუმები. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებები უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა, დამაჯერებელი და სახეზე უნდა იყოს ამ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მისი აზრით, ამ ნორმის უმთავრესი ხარვეზი გამოიხატება იმაში, რომ აქ მოხსენიებული არ არის „უტყუარობის“ კონსტიტუციური სტანდარტი. ასეთი მოცემულობა კი უშვებს ნორმის არაერთგვაროვანი წაკითხვის ალბათობას. მოსარჩელის განმარტებით, ამგვარი ლოგიკით ტყუილიც შეიძლება იყოს აშკარა, დამაჯერებელი და ერთმანეთთან შეთანხმებული, რაც დაეფუძნება გამამტყუნებელ განაჩენს.

ყოველივე ეს, მოსარჩელე მხარის მტკიცებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურობაზე მიუთითებს. მოსარჩელე მხარის განცხადებით, სისხლის სამართლის 169-ე მუხლის პირველ ნაწილსაც ანალოგიურად აქვს „უტყუარობის“ პრობლემა. კერძოდ, იგი შესაძლებლობას იძლევა, პირის ბრალდებულად ცნობისთვის გამოყენებული იქნეს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც არ არის თავისი არსით უტყუარი, რაც, მოსარჩელის მტკიცებით, აშკარად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-40 მუხლის სტანდარტს. მოპასუხე მხარემ, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე განაცხადა, რომ სადავო ნორმები სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ „უტყუარობის“ სტანდარტს. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განცხადებით, სისხლის სამართლის პროცესი არის ერთი დიდი ერთობლიობა და სადავო ნორმები არ უნდა შეფასდეს როგორც ცალკე აღებული მოცემულობა. ისინი განხილული უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სხვა ნორმებთან ერთად. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი საუბარია, რომ „მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“. მოპასუხე მხარის განმარტებით, ნებისმიერ ირიბ თუ არაირიბ მტკიცებულებას, რომელიც წარედგინება სასამართლოს, არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სწორედ მოსამართლემ უნდა შეაფასოს იგი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და მხოლოდ ასეთი ტექსტის გავლის შემდეგ დაუდოს საფუძვლად საბოლოო განაჩენს. მოპასუხის აზრით, კანონი მოსამართლეს ანიჭებს გადამწყვეტ როლს მტკიცებულებების შეფასების პროცესში, რაც, თავის მხრივ, სრულად შეესაბამება კონსტიტუციის მე-40 მუხლით დადგენილ სტანდარტებს.

მოპასუხე მხარემ დამატებით აღნიშნა, რომ კანონით განსხვავებული მტკიცების სტანდარტები არსებობს სისხლის სამართლის პროცესის თითოეული სტადიისთვის. ესენია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ტერმინები: „დასაბუთებული ვარაუდი“, „ალბათობის მაღალი ხარისხი“ და „გონივრულ ეჭვს მიღმა“, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლისთვის წარმოადგენენ სახელმძღვანელო სტანდარტებს. მოპასუხის განცხადებით, მოსამართლე სისხლის სამართლის პროცესის თითოეულ სტადიაზე, სწორედ ამ სტანდარტების გამოყენებით, ერთნაირად აფასებს მტკიცებულებებს რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და თუ მას, როგორც ობიექტურ პირს, ერთობლიობაში შეექმნება საკმარისი კანონიერი საფუძველი, მაშინ მიიღებს შესაბამის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის აზრით,

აღნიშნული სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან. მოპასუხე მხარის მტკიცებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მითითებულ ნორმაში შეტანილმა ცვლილებამ გაცილებით აამაღლა „უტყუარობის“ კონსტიტუციური სტანდარტი. ახალი მოცემულობით, მოსამართლე ვერ დაეყრდნობა ორი ირიბი ჩვენების ტანდემს გადაწყვეტილების მიღებისას. ვინაიდან, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ირიბი ჩვენება მაშინ არის დასაშვები, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ასეთი მტკიცებულება კი შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პროცესით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც ირიბ ჩვენებას მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდის დასაშვებს. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობისა თუ შეცდომების შედეგად არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობას, რომლის პირობებშიც პირის წინააღმდეგ გახორციელებული მართლმსაჯულების ღონისძიებები - ბრალდება და პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა გახორციელდეს ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა ასევე უკავშირდება კონსტიტუციის ამავე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. კონსტიტუციური დებულება, რომ „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“, ქმნის ბრალდებულის დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „...პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სასამართლოს უფლებითა და საპროცესო გარანტიებით სრულყოფილ სარგებლობას. პასუხისმგებლობის დაკისრებისას ინდივიდი არ უნდა წარმოადგენდეს სამართალწარმოების ობიექტს და უნდა აღიჭურვოს დაცვის იმ მექანიზმებით, რასაც სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს“.

მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს, სადავო ნორმების საფუძველზე შესაძლებელია თუ არა ბრალის წარდგენა ან განაჩენის გამოტანა ისეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც არ არის უტყუარი, წარმოშობს თუ არა ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობა კონსტიტუციური უფლების დარღვევის რისკს, არსებობს თუ არა საფრთხე იმისა, რომ განაჩენი გამოტანილი იქნეს საექვო, ყალბ ან არასანდო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. სასამართლომ უნდა შეამოწმოს შეიცავს თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საკმარის გარანტიებს იმისთვის, რომ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი უტყუარად იქნეს დადასტურებული. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, აუცილებელია როგორც სადავო ნორმების შინაარსის, ასევე სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ჩვენების მნიშვნელობის, მისი არსის განმარტება.

სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების გახორციელების პროცესში მტკიცებულება წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. მტკიცებულებების მეშვეობით სასამართლო ადგენს, „არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე“. ცხადია, რომ ამ პროცესში ყალბი, არასანდო ან საექვო მტკიცებულების დაშვების შესაძლებლობა, იმავდროულად, უდანაშაულო პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის დაშვებასაც, ამიტომ საქართველოს კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მხოლოდ უტყუარი მტკიცებულება შეიძლება გახდეს პირის ბრალდების და შემდგომში მისი დამნაშავედ ცნობის საფუძველი.

ყოველი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებასა თუ განაჩენს საფუძველად ედება, შესაძლოა იწვევდეს დავას. გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები, როგორც წესი, მხარეთა განსხვავებული შეფასებისა და კამათის საგანს წარმოადგენს. სისხლისსამართლებრივი დევნის სხვადასხვა ეტაპზე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეამოწმონ მტკიცებულებათა ნამდვილობა, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს ან უარყოფს ბრალდებული პირის კავშირს ჩადენილ დანაშაულთან.

უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს არა მხოლოდ საექვო მტკიცებულების დაუშვებლობის მითითებას - უნდა გამოირიცხოს ეჭვი მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ, არამედ ასევე მოთხოვნას, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად

შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს. მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულების წარდგენის მიზანს საქმისთვის რელევანტური ფაქტებისა თუ გარემოებების დადასტურება წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, პირის ბრალეულობაზე მიუთითებს. კონსტიტუციური მოთხოვნაა, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა ბრალის დასაბუთებისას გამოიყენოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებსაც ის უტყუარად მიიჩნევს, რომელთა სანდოობაში, ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

სწორედ ამიტომ, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო, რომლის ძირითად ამოცანას დანაშაულის გამოძიება და მისი პრევენცია წარმოადგენს, კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს გამოძიებისთვის საჭირო ეფექტური და, ამავე დროს, მკაფიოდ ფორმულირებული, განჭვრეტადი სამართლებრივი მექანიზმებით, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში სავარაუდო შეცდომის ან თვითნებობის საფრთხეს არსებითად გამორიცხავს. კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს იმ მინიმალურ გარანტიებს, რომლებიც გამორიცხავს პოტენციურად მცდარი, საეჭვო მტკიცებულებების ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენების შესაძლებლობას. მტკიცებულება დაუშვებელია, „თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ“. აღნიშნული ნორმა შეიცავს მტკიცებულებების ავთენტურობის შემოწმების მოთხოვნას. მისი მიზანია, გამორიცხოს ყალბი, სახეშეცვლილი და, ამ მხრივ, არასანდო მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობა. „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით“. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა უნდა შეამოწმოს, არის თუ არა წარმოდგენილი მტკიცებულება კანონით დაშვებული, შეიცავს თუ არა ის საქმისთვის რელევანტურ, მნიშვნელოვან ინფორმაციას, კანონით დადგენილი წესით შეამოწმოს, რამდენად ადასტურებს იმ ფაქტსა თუ გარემოებას, რომლის დასამტკიცებლადაც არის წარმოდგენილი.

თავის მხრივ, მტკიცებულების უტყუარობას – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ან უზრუნველყოფილი მისი შემოწმება. მტკიცებულებების შეფასებისას შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად, შინაგანი რწმენის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს, თუმცა ეს ვერ იქნება შეცდომისაგან ან უფლებამოსილების

ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის საკმარისი გარანტია. კანონმდებელმა უნდა აღჭურვოს საქმის განმხილველი სასამართლო შესაბამისი სახელმძღვანელო ნორმებით, რომელიც საქმის გადაწყვეტის პროცესში გამორიცხავს იმგვარ მტკიცებულებებს, რომელიც თავისი ბუნებით ან შინაარსით შეიძლება არ იყოს სანდო, და ამდენად, შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს ან სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელ ორგანოს, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგანი რწმენის საფუძველზე შეაფასოს მტკიცებულებათა სანდოობის ხარისხი.

სისხლის სამართლის საქმეში შესაძლოა არსებობდეს ირიბი ჩვენება, რომელიც განსხვავებული გარემოებების დასამტკიცებლად იქნება წარმოდგენილი და რომელიც სხვა რელევანტურ ინფორმაციასთან ერთად შექმნის მტკიცებულებათა ერთობლიობას. ირიბი ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ან იყოს „დამხმარე“ ხასიათის, ადასტურებდეს საქმისთვის მნიშვნელოვან „გვერდით“ ფაქტს ან გარემოებას. კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა შემთხვევებშია დასაშვები ირიბი ჩვენების გამოყენება, მკაცრი და ზედმიწევნით ზუსტი უნდა იყოს მისი დასაშვებობის პირობები. რამდენადაც მაღალია ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა ბრალის დადასტურების საკითხში, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება წესი, რომელიც ასეთი ჩვენების გამოყენებას შესაძლებელს ხდის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს წესს, რომელიც, ერთი მხრივ, ბრალის წაყენების მიზნებისთვის ირიბ ჩვენებას, იდენტიფიცირებადი წყაროს მითითების შემთხვევაში, დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს, ხოლო საქმის არსებითი განხილვისთვის ერთ დამატებით პირობას ადგენს – ირიბი ჩვენება სხვა ისეთი მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ამავე დროს, მტკიცებულებათა დასაშვებობის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს დამატებით რაიმე მითითებას, წესს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ირიბი ჩვენება პირისთვის ბრალის წაყენების ან განაჩენის გამოტანის დროს. შესაბამისად, ბრალის წაყენება და გამამტყუნებელი განაჩენის მიღება შესაძლებელია მოხდეს მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობით, რომელიც არა მხოლოდ მოიცავდეს ირიბ ჩვენებას, არამედ არსებითად ემყარება მას. ასევე, იქმნება შთაბეჭდილებაც და მოლოდინიც იმისა, რომ ირიბი ჩვენება, როგორც წესი, მისაღები, სანდო და ვარგისი მტკიცებულებაა, მსგავსად სხვა მტკიცებულებებისა რომლებიც ბრალის დასადასტურებლად არის წარმოდგენილი.

სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდოა ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან

სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისსამართლებრივ საქმეს უკავშირდება. ასევე რთულია იმის განჭვრეტა, თუ როგორ ჩვენებას მისცემდა ეს პირი, ის რომ სასამართლოში გამოცხადებულიყო. მართალია, სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ირიბი ჩვენების მიმცემმა პირმა უნდა დაასახელოს ინფორმაციის წყარო, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია, ერთმნიშვნელოვნად არსად იკითხება ირიბი ჩვენებით იდენტიფიცირებული წყაროს სათანადოდ შემოწმების ვალდებულება და წესი.

სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ჩვენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ის შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მხარეები სასამართლოში ცდილობენ წარმოაჩინონ დანაშაულთან დაკავშირებული სურათი. მოწმეს შეუძლია ამოიცნოს დამნაშავე, სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელთა თვითმხილველი თავად იყო, დაადასტუროს ან უარყოს ინფორმაცია საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც მოწმის ჩვენების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. ირიბი ჩვენების შემთხვევაში კი ეს მექანიზმი სანდოობის უზრუნველსაყოფად ნაკლებად ეფექტური საშუალებაა, ვინაიდან ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

სადავო ნორმა ასევე არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ირიბი ჩვენება გამოყენებულ იქნეს, როდესაც ფაქტის თვითმხილველი მოწმე შეიძლება იქნეს მოწვეული სასამართლოში ჩვენების მისაცემად ან უკვე აქვს მიცემული ასეთი ჩვენება. ასეთ შემთხვევებში საექვო და გაუგებარი ხდება ირიბი ჩვენების გამოყენების აუცილებლობა და მიზანი. ერთდროულად ირიბი ჩვენების მიმცემი პირის და ინფორმაციის გამავრცელებელი პირის დაკითხვა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ობიექტური აუცილებლობით იყოს გაპირობებული, თუმცა ასევე შესაძლებელია მტკიცებულებათა სიმრავლის მცდარი აღქმა შექმნას და შეცდომის დაშვების ალბათობა გაზარდოს.

კანონმდებლობა არც იმას გამორიცხავს ერთმნიშვნელოვნად, რომ ბრალის წარდგენისას ან განაჩენის გამოტანისას გამოყენებულ იქნეს ერთზე მეტი ირიბი ჩვენება, რომელიც ერთსა და იმავე ფაქტს „ირიბად“ ადასტურებს. ირიბ ჩვენებათა სიმრავლე თავისთავად არ უნდა განაპირობებდეს ამ ჩვენებების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის სანდოობას. ირიბი ჩვენების სხვა

მტკიცებულების დადასტურებით არ იცვლება ამ მტკიცებულების ბუნება, იცვლება მხოლოდ ამ სახის მტკიცებულებით დარწმუნების შესაძლებლობის ხარისხი.

გაუმართლებელია ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვება და მისი გამოყენება განურჩევლად იმისა, თუ რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია. კანონი ასევე უნდა გამორიცხავდეს ორმაგი ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობას. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად.

ამ საფრთხეების მიუხედავად, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები შესაძლებელს ხდის, რომ სასამართლოს, მათ შორის, ნაფიც მსაჯულებს შინაგანი რწმენა, პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით ირიბი ჩვენების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოუყალიბდეთ. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გარდა, რაიმე სხვა წინაპირობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, არაფერი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ირიბ ჩვენებას სხვა მტკიცებულებების მსგავსად დაეყრდნოს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, გამონაკლის შემთხვევებში, ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერებას. ასეთი გამონაკლისის დაშვება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.³⁵

გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი თამაშობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს სისხლის სამართლის პროცესში. იგი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვას, არსებითად ამცირებს უსამართლო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფრთხეს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხელს უწყობს შეცდომის დაშვების საფრთხის თავიდან აცილებას. მსჯავრდების შემთხვევაში შეზღუდვას ექვემდებარება პირის თავისუფლება, ასევე ხდება მისი პიროვნების სტიგმატიზაცია. ბრალდებულს არ უნდა

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ, პარ. 50

შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში.

დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. საზოგადოება, რომელიც იღვწის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, იცის ადამიანის თავისუფლების ფასი, არ დაუშვებს ისეთი პირის მსჯავრდებას, რომლის ბრალეულობა მიუკერძოებელი და გონიერი დამკვირვებლისთვის საეჭვო რჩება. ამასთანავე, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებაში. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, აღასრულოს მართლმსაჯულება, არ იქნეს დასუსტებული ისეთი მტკიცებულებითი სტანდარტით, რომელიც მიუკერძოებულ ადამიანს, საზოგადოებას გაუჩენს ეჭვს უდანაშაულო პირის მსჯავრდების შესახებ. ასევე აუცილებელია, რომ თავისუფალ საზოგადოებაში თითოეულ პირს ჰქონდეს იმის რწმენაცა და სამართლებრივი გარანტიაც, რომ სახელმწიფო არ მოახდენს მის მსჯავრდებას, თუკი სამართლიანი სასამართლო პროცესის შედეგად, ყველაზე მაღალი დამაჯერებლობით (სიზუსტით) არ დარწმუნდება პირის ბრალეულობაში.

ადამიანის პიროვნული თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს, რომ მტკიცებულებების შეფასებისას წარმოშობილი ნებისმიერი ასეთი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ეს მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს, რომ სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული კონფლიქტები, სათანადოდ აწონოს მტკიცებულებები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ. მტკიცებულებების ამგვარი ტესტით შეფასების შემდეგ არის შესაძლებელი, სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცეს პირის ქმედებას და დაეკისროს პასუხისმგებლობა. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა გამოირიცხავდეს ეჭვებისა და ვარაუდების საფუძველზე პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას და, ამდენად, ამყარებს საზოგადოების ნდობას სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების მიმართ.

გონივრულ ეჭვს მიღმა ტესტი წარმოადგენს სახელმძღვანელო კრიტერიუმს, რომელსაც სასამართლო იყენებს პირის დამნაშავედ ცნობისთვის, მიანიშნებს სასამართლოს, თუ რამდენად მყარი უნდა იყოს რწმენა იმისა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. სასამართლო

ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები მას გონივრულ ეჭვს მიღმა დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. ეს რწმენა სასამართლოს, კანონით დადგენილი წესის მიხედვით წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უყალიბდება, რომელსაც კანონით სანდო და დასაშვებად მიიჩნევენ.

სსსკ-ის თანახმად, მოწმის ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, კანონით დადგენილი წესით უნდა იყოს წარდგენილი სასამართლოში. სსსკ-ის 76-ე მუხლი ერთ-ერთ ასეთ წესს შეიცავს, რომლის თანახმად, ირიბი ჩვენების ფარგლებში მოწმეს შეუძლია გამოძიებას ან სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ფაქტების შესახებ, რომლის თვითმხილველიც თავად არ ყოფილა. ამიტომ, ირიბი ჩვენება, თუ ის სსსკ-ის ზემოთ დასახელებულ მოთხოვნას პასუხობს და თან შეიცავს კანონით დადგენილი წესით მოპოვებულ და საქმისთვის რელევანტურ ინფორმაციას, დასაშვებ მტკიცებულებას წარმოადგენს. ხოლო მისი სანდოობა, სსსკ-ის იმავე მუხლზე დაყრდნობით, მოწმდება სხვა მტკიცებულებით, რომელიც ადასტურებს ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას.

ამდენად, ირიბი ჩვენების შემთხვევაში მოწმე გამოძიებას ან სასამართლოს აწვდის ინფორმაციას ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების გახორციელების ან სხვა გარემოებების შესახებ, რომელთა თვითმხილველი თავად არ ყოფილა. როგორც აღინიშნა, სსსკ-ის 76-ე მუხლი ასეთ ჩვენებებს დასაშვებად მიიჩნევს, ხოლო სადავო ნორმები მათ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად, სხვა მტკიცებულებების მსგავსად, ვარგის მტკიცებულებად აქცევენ. ამდენად, ტესტი, რომელიც სასამართლომ/ნაფიცმა მსაჯულმა შინაგანი რწმენის შესამოწმებლად უნდა გამოიყენოს, ვერ გამორიცხავს ირიბ ჩვენებასთან, როგორც ერთ-ერთ მტკიცებულებასთან დაკავშირებულ საფრთხეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირის ბრალდებულად ცნობისთვის საჭიროა გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დასაბუთებულ ვარაუდს უნდა ქმნიდეს იმის შესახებ, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. დასაბუთებული ვარაუდი ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობაა, რომელიც ობიექტურ პირს დააკმაყოფილებდა, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელმა პირმა ბრალის წაყენების საკითხის გადაწყვეტისას სსსკ-ის ნორმების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შესაძლოა ირიბი მტკიცებულებები წარმოადგენდეს. ამასთანავე, კანონმდებლობა არ იძლევა რაიმე მითითებას იმასთან დაკავშირებით,

თუ რა წონა უნდა მიენიჭოს ირიბ მტკიცებულებას პირის ბრალდებულად ცნობისთვის. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, შეფასებას საჭიროებს ის გარემოება, რამდენად სანდოდ ადასტურებს ირიბი ჩვენება იმ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ცალკეულ შემთხვევაში ირიბი ჩვენების სანდოობა შესაძლებელია ექვევემ დადგეს, არაფერი გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ირიბი ჩვენების წყარო ცდებოდეს ან განზრახ ცრუობდეს. აქედან გამომდინარე, არსებობს იმის წინა პირობები, რომ ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, მისი სათანადო შემოწმების, ეჭვების გამორიცხვის გარეშე, საფუძვლად დაედოს პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას. მტკიცებულებათა ერთობლიობის დასაბუთებულ ვარაუდს მიღმა შემოწმების კანონით გათვალისწინებული სტანდარტი ვერ გამორიცხავს იმ საფრთხეებს, რომლებიც ირიბი ჩვენების, როგორც საქმისთვის მნიშვნელოვანი ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულების საფუძველზე პირის ბრალდებას იწვევს. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ პირის ბრალდებულად ცნობა შეიძლება მოხდეს ისეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც არ აკმაყოფილებს კონსტიტუციით დადგენილ უტყუარობის სტანდარტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ სადავო ნორმები შეიცავს მტკიცებულებათა შეფასების პროცესში შეცდომების დაშვების შესაძლებლობას და საფრთხის შემცველია ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის. მაღალია ალბათობა იმისა, რომ ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. სწორედ ირიბი ჩვენების მოსმენის საფუძველზე, მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს შეიძლება ჩამოუყალიბდეთ შინაგანი რწმენა დანაშაულთან დაკავშირებით, ხოლო სადავო ნორმები ვერ უზრუნველყოფს შეცდომის ასაცილებლად საკმარის გარანტიას.

მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულება ვერ იქნება უტყუარი, თუ იგი იმაზე მეტ გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე, ვიდრე ეს მისი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მტკიცებულება არ უნდა უქმნიდეს ფაქტების დამდგენს მცდარ წარმოდგენას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.³⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგადად ირიბი ჩვენება ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის

³⁶ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - გადაწყვეტილება 1/1/548 "საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2714193?publication=0>

შექმნის საფრთხეს და შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მაღალია იმის საფრთხე, რომ ირიბი ჩვენების მოსმენის შედეგად, მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულს ჩამოუყალიბდეთ რწმენა, რომ ბრალდებულმა ნამდვილად ცაიდინა დანაშაული, რაც პირის დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოს დასჯის ალბათობას ზრდის.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, ასევე არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. ხოლო შეწყვიტა სამართალწარმოება სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილს.³⁷

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ, პარ. 52

თავი IV. საერთაშორისო კანონმდებლობა

4.1. ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები

საერთო სამართლისა და კონტიტენტური სამართლის ქვეყნების, სისხლის საპროცესო სამართალში ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები და პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავებულია, რამდენადაც განსხვავდება სისტემები. ამავდროულად კონტინენტური ევროპის ზოგ ქვეყანაში დადგენილია ირიბი ჩვენების დასაშვებობის მინიმალური პრინციპები (ესპანეთი, იტალია). ესტონეთში ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები კონკრეტიზირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. საერთო სამართლის ქვეყნებში ეს კონკრეტიზაცია ხდება სასამართლო პრაქტიკით, თუმცა განსხვავებულია პოზიცია კანადაში, სადაც ირიბი ჩვენების დაშვების წესი ზოგადია და სასამართლოს ეძლევა საშუალება ზოგადი პრინციპების საფუძველზე მოახდინოს ამა თუ იმ ჩვენების მტკიცებულებად დაშვება. ამერიკის ფედერალური წესებში, განსხვავებით სხვა საერთო სამართლის ქვეყნებისა, ირიბი ჩვენების წინააღმდეგ წესის გამონაკლისების ძალიან ფართო ჩამონათვალი არსებობს.

ზოგიერთ ქვეყანაში ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის მინიმალური პირობების არსებობაც კი საკმარისია, მაგრამ არსებობს ქვეყნები, სადაც ზოგადი წესით, ირიბი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, გარდა კანონით განსაზღვრული კონკრეტული გამონაკლისებისა. თავის მხრივ, საგამონაკლისო შემთხვევების ფარგლებიც ქვეყნების მიხედვით განსხვავდება.

ზოგ ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება დაფუძნებულია ინკვიზიციურ პრინციპებზე (საფრანგეთი, ბელგია, გერმანია) ირიბი ჩვენება დასაშვებია და მოსამართლე წყვეტს ასეთი ჩვენების ღირებულებას, ამიტომ ქვემოთ მოცემულ კვლევაში, რომელიც უკვე არსებობს, ამ ქვეყნებზე ყურადღება არ იქნა გამახვილებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ირიბ ჩვენებას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არ შეიძლება განაჩენი დაეფუძნოს მხოლოდ ირიბ ჩვენებას ან ჩვენებებს.³⁸

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო, ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, <https://www.supremecourt.ge>

4.2. ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების

კანონმდებლობა და პრაქტიკა

სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი მტკიცებულებებს უკავია. სწორედ აღნიშნული განაპირობებს სასამართლოში საქმის წარმართვის ბედს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მტკიცებულების ერთერთ სახეს მოწმის ჩვენება წარმოადგენს. კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. იმისათვის, რომ მოწმის ჩვენება პროცესში დასაშვები მტკიცებულება იყოს, მოწმეს უნდა შეეძლოს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროზე მითითება, გარდა ამისა მას უნდა ჰქონდეს უნარი, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები. მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობის არსებობისას, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

გარდა მოწმის პირდაპირი ჩვენებისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის ირიბი ჩვენების ინსტიტუტს. ირიბ ჩვენებას გააჩნია ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს ინფორმაცია შეუძლებელია გადამოწმდეს ჯვარედინი დაკითხვით. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ მაშინ, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით, რომელიც ირიბ ჩვენებას არ წარმოადგენს. მოწმის დაკითხვის წესის ახალი პროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ იქნა შემუშავებული, ითვალისწინებს გარკვეულ ცვლილებებს და სიახლეებს სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, როგორც განმარტებითი ბარათით არის განსაზღვრული, კანონპროექტის მომზადება განაპირობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მტკიცებულებებთან, მათ შორის, ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასაკმარისი რეგულაციების არსებობამ. პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაციაა „განაგონის“ ცნება - ტერმინის - „ირიბი ჩვენების“ ნაცვლად, რომლის დეფინიციამდე მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისი კონკრეტული ელემენტები. კერძოდ, განაგონის ცნება სცდება ირიბი ჩვენების ჩარჩოს და მოიცავს, ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მესამე პირმა გამოხატვის ნებისმიერი ფორმით შეიძლება გადმოსცეს. კანონპროექტი აწესრიგებს, ასევე, ბრალდებულისა და მოწმის ნასამართლობის ან ხასიათის ნიშან-თვისებების შესახებ მტკიცებულებების წარდგენის საკითხს და ამ მიზნით განსაზღვრავს ამგვარი მტკიცებულების დაუშვებლობის პირობებს, ისევე როგორც - შემთხვევებს, როდესაც მხარეს შეუძლია სასამართლოში ასეთი მტკიცებულებების

გამოყენება. კანონპროექტით ბევრად უფრო დეტალურად განიმარტება მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები (კოდექსის 82-ე მუხლი), რომელთა ერთობლიობაც აუცილებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი პროცესის წარმმართველი პირისათვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრებას ითვალისწინებს. კერძოდ, მოსამართლეს უჩნდება ვალდებულება, სამართლიანი და გონივრული კონტროლი გაუწიოს მოწმის დაკითხვის პროცესს, რათა უზრუნველყოს პროცესის ეფექტიანობა და თავიდან აიცილოს დროის გაჭიანურება და სხვა უკანონო ქმედებები.³⁹

ესპანეთი. ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 710-ე მუხლის მიხედვით ირიბი ჩვენება დასაშვებია. რადგანაც საპროცესო კოდექსის ასეთი ჩანაწერი განსხვავდება მტკიცებითი სამართლის ზოგადი წესებიდან, ესპანურმა სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა ირიბი ჩვენების დაშვების წესები, კერძოდ, ირიბ ჩვენებას მტკიცებითი ღირებულება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელია პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.⁴⁰

იტალია. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის 1-3 ნაწილების მიხედვით, ირიბი ჩვენების არსებობის შემთხვევაში მოსამართლემ, მხარის შუამდგომლობის ან საკუთარი ნების საფუძველზე უნდა დაიბაროს პირდაპირი მოწმე სასამართლოში. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი მოწმე გარდაიცვალა, აქვს ფსიქიური პრობლემები ან თუ მისი მოძებნა შეუძლებელია.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, კრიმინალური პოლიციის ოფიცრებს არ აქვთ უფლება წარადგინონ ჩვენება მოწმეთა დაკითხვის საფუძველზე რომელიც გახორციელდა ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

ესტონეთი. ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ირიბი ჩვენება დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა: ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი § 66. მოწმე (1) მოწმის ჩვენება, იმგვარ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია მტკიცების საგანთან, რომელიც მოწმემ სხვა პირისაგან შეიტყო, არ უნდა გახდეს მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა თუ: 1) მტკიცებულების პირდაპირი წყაროს დაკითხვა შეუძლებელია კოდექსის 291 (1) ქვეპარაგრაფში მოყვანილ მიზეზთა გამო; 2) მოწმის ჩვენების შინაარსი არის ის რაც მან მოისმინა სხვა პირისაგან, იმ გარემოებების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ იყო აღქმული მის მიერ, საუბრის განმავლობაში, ჯერ კიდევ იმის ზეგავლენის ქვეშ

³⁹ ირიბი ჩვენებები - საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბ., 2016 წ., გვ. 3

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლო, ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, <http://www.supremecourt.ge>

რაც მას გაანდეს და თუკი არ არის რწმენის საფუძველი, რომ ის ამახინჯებს სიმართლეს; 3) მოწმის ჩვენების შინაარსი არის ის, რაც მან მოისმინა სხვა პირისაგან და რომელიც შეიცავს დაშვებას სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენის შესახებ ან რომელიც არის ინტერესთა კონფლიქტში თანამოსაუბრესთან; 4) მოწმის ჩვენების შინაარსი შეიცავს გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულთან. § 291. მუხლში მოყვანილი მიზეზები (ჯვარედინი დაკითხვა) მოწმე:

1) გარდაცვლილია;

2) უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე სასამართლო განხილვისას

3) თავისი ჯანმრთელობის გამო არ შესწევს, უნარი მისცეს ჩვენება;

4) მოწმის ადგილსამყოფელი ვერ დგინდება გონივრული ზომების მიღების მიუხედავად;

5) სასამართლოში ვერ გამოცხადდა სხვა დაბრკოლების გამო, რომელიც არის ხანგრძლივი ან მისი აღმოფხვრა არაპროპორციულად დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული და მხარემ, რომელმაც იშუამდგომლა, გამოიყენა ყველა გონივრული ზომა, რათა ის მიეყვანა სასამართლოში.

ინგლისი და უელსი. 2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტი ირიბ ჩვენებას განსაზღვრავს, როგორც განაცხადს, რომლებიც „სამართალწარმოებაში არ არის გაკეთებული ზეპირად“, თუმცა გამოიყენება, როგორც „მტკიცებულება ნებისმიერ დადგენილ საკითხთან მიმართებით“. ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის პირველადი ჩვენების მიმცემი, არ გამოცხადებული პირი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

- უნდა იყოს გარდაცვლილი;
- ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოწმედ გამოცხადება;
- უნდა იმყოფებოდეს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ და გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს მისი პროცესზე დასწრების უზრუნველყოფა;
- შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოძებნა თუ მიღებულია ყველა გონივრული ზომა მის მოსაძებნად;
- პირმა უნდა გამოთქვას ჩვენების მიცემის შიში ან ჩვენების მიცემის გაგრძელების შიში. ამას გარდა, ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისები დადგენილია პრეცედენტული სამართლით:
 - Res gestae, ანუ ნათქვამი რომელიც ეხება კონკრეტულ ქმედებას და იგი ახლავს ამ ქმედებას;
 - ბრალდებულის აღიარება მესამე პირთან;

- გარდაცვლილის ბოლო კომუნიკაცია.

მაგ. გარდაცვლილის ბოლო კომუნიკაცია სანდოდ ითვლება ინგლისურ სამართალში. ვუდექოქის საქმეში ქალი სასიკვდილოდ სცემეს, სიკვდილიდან ორი დღით ადრე მსხვერპლმა უთხრა ერთ-ერთ მოწმეს, რომ მას ქმარმა სცემა. სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი პრინციპი ასეთი სახის ირიბი ჩვენების დასაშვებობის არის ის, რომ ის უნდა იყოს განცხადებული სიკვდილის პირას, როცა ყველა იმედი დაკარგულია და აღარ არსებობს ტყუილის მოტივი. ამ დროს გონება მიმართულია სიმართლისკენ. მხარის ან ექსპერტის მიერ იმ ექსპერტების ნააზრევზე მითითება, რომელიც არ არის წარმოდგენილი პროცესზე;

ირლანდია. ირლანდიაში ირიბი ჩვენება დაუშვებელია გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც დადგენილი იქნა პრეცედენტული სამართლით. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ თუ ირიბი ჩვენება ეხება ისეთ ნათქვამს, რომელიც მოხდა ბრალდებულის წინაშე, ბრალდებულის მიერ ამ ფაქტზე რეაქცია შესაძლოა გახდეს ირიბი ჩვენების დასაშვებობის საფუძველი. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ბრალდებულის რეაქცია ასეთ ნათქვამზე (იმ დროს როცა ეს ითქვა), შესაძლოა იყოს ისეთი, რომლის საფუძველზეც სასამართლომ ჩათვალოს, რომ ბრალდებული აღნიშნულ განაცხადს ეთანხმებოდა. ციტატა გადაწყვეტილებიდან: „ბრალდებული შესაძლოა დაეთანხმოს ვინმეს მიერ ნათქვამს სიტყვით, ქმედებით, მოქმედებით ან ქცევით და ამ შემთხვევაში სასამართლო მსაჯულის გადასაწყვეტია ეთანხმება თუ არა ბრალდებული თავისი სიტყვებით, მოქმედებებით, ქმედებითა თუ ქცევით აღნიშნულ ნათქვამს.“

ამას გარდა ირიბი ჩვენება დასაშვებია:

1) თუ მოწმე დაამტკიცებს, რომ ის სიტყვები ან ქმედება, რომელზეც ის ირიბი ჩვენებით მიუთითებს ნამდვილად იქნა ნათქვამი ან ჩადენილი.

2) თუ ნათქვამი ეხება კონკრეტულ ქმედებას ან ტრანზაქციას და იგი ახლავს ან ხსნის ქმედებას, ზოგადად დასაშვებია ირიბი ჩვენებით.

საქმეში, რომელშიც მსხვერპლმა, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრეს, დაჭრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მიუთითა ბრალდებულზე და თქვა: „მას აქვს დანა, მან დამჭრა“. სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოწმის ნათქვამი წარმოადგენდა ირიბ ჩვენებას, ჩვენების შინაარსი იყო ე.წ. *res gestae*, ანუ წარმოადგენდა იმ ქმედების ნაწილს, რომელზეც წაყენებული იყო ბრალდება. შესაბამისად, სასამართლომ ირიბი ჩვენება დაუშვა.

3) ირიბი ჩვენებით დასაშვებია ისეთი განაცხადი, რომელიც თან ახლავს დადგენილ

ქმედებას და ხსნის ჩამდენის განზრახვას.⁴¹

4) თუ კომუნიკაცია მოხდა სიკვდილის წინ, ეს შეიძლება დასაშვები იყოს როგორც ირიბი ჩვენება.

5) საჯარო დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია შეიძლება დასაშვები იყოს როგორც ირიბი ჩვენება.

6) გარდაცვლილი პირის მიერ ნათქვამი შეიძლება დასაშვები იყოს ირიბი ჩვენებით, თუ:

- ის ეხება გარდაცვლილის ფინანსურ ინტერესს;
- ის წარმოადგენს გარდაცვლილის მიერ მოვალეობის შესრულებისას გაკეთებულ წერილობით განაცხადს.;
- თუ ის ეხება გარდაცვლილის ნათესაურ კავშირებს;
- თუ ის წარმოადგენს გარდაცვლილის ანდერძის ახსნა/განმარტებას.

7) პირდაპირი ჩვენება სხვა საქმეზე სამართალწარმოებაში, დასაშვები იქნება ირიბ ჩვენებად მიმდინარე სამართალწარმოებაში.

კანადა. კანადაში ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხი მოქნილია, დამოკიდებულია რა სასამართლოზე, თუმცა არსებობს ზოგადად ჩამოყალიბებული წესები. კანადის სასამართლოები ირიბ ჩვენებას იღებენ იმ შემთხვევაში თუ ის აკმაყოფილებს ორ კრიტერიუმს:

- თუ მტკიცებულება აუცილებელი და დამაჯერებელია;
- მტკიცებულების ღირებულება უფრო წონადია ვიდრე მისი საზიანოობა ბრალდებულისთვის.

პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ კრიტერიუმები დაკმაყოფილებული იქნება, თუ ირიბი ჩვენება აუცილებლობას წარმოადგენს იმისთვის, რათა დამტკიცდეს კონკრეტული ფაქტი, თუ პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს და იმავე ხარისხის მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელია.⁴²

ამ მოქნილი წესის არსებობის სასარგებლოდ არგუმენტი მოყვანილი იქნა საქმეში R v. „მოქნილი წესისკენ სვლა მოტივირებული იყო იმის აღქმით, რომ ზოგადი წესის მიხედვით დამაჯერებელი მტკიცებულება არ უნდა იქნას უარყოფილი მხოლოდ იმის გამო, რომ ის არ ექვემდებარება გადამოწმებას. ირიბი ჩვენება ამჟამად დასაშვებია პრინციპულ საფუძვლებზე - მტკიცებულების დამაჯერებლობა და მისი აუცილებლობა.“

⁴¹ O'Mahony. P; Criminal Justice in Ireland, Dublin Inst. of Public Administration 2002; გვ. 69

⁴² Consultation Paper Hearsay in Civil and Criminal Cases (LRC CP 60 - 2010), Copyright Law Reform Commission, Ireland;

4.3. სასამართლო გადაწყვეტილებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში „ჰორნქასლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (საჩივრის ნომ. 4184/10) ⁴³ერთხმად დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევას (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მოწმეთა სასამართლო პროცესზე დასწრებისა და დაკითხვის უფლება). საქმე ეხებოდა ოთხი მომჩივნის საჩივარს, რომლებიც დავობდნენ, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის დროს მომჩივნების წინააღმდეგ მტკიცებულების სახით დაზარალებულთა წერილობითი განცხადების დაშვება, არღვევდა მათ უფლებას, დაეკითხათ მოწმე, რომელიც მათ წინააღმდეგ ერთადერთ და გადამწყვეტ მტკიცებულებას წარმოადგენდა. ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა „ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ საქმეში დიდი პალატის მიერ დადგენილი პრინციპები, სადაც მან განაცხადა, რომ მსჯავრდების დაფუძნება ირიბი მოწმის ჩვენებაზე ავტომატურად არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფს. როდესაც ირიბი მტკიცებულება ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულებაა, უნდა დადგინდეს არსებობს თუ არა ადეკვატური საპირწონე ფაქტორები, მათ შორის პროცედურული გარანტიები, რათა მოხდეს დაცვის მხარისათვის წარმოშობილი სირთულეების კომპენსირება. საქმეში „მაიკლ ქრისტოფერ ჰორნქასლი, დევიდ ლი ბლექმორი, აბიაჰ მარქესი და ჯოზეფ დევიდ გრეპემი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პირველ ორ მომჩივანთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუნდაც მიჩნეული ყოფილიყო, რომ დაზარალებულის წერილობითი ჩვენება „გადამწყვეტი“ იყო, მიუხედავად ამისა ეროვნულ კანონმდებლობაში მათი სამართლიანი სასამართლოს უფლების დასაცავად არსებობდა საკმარისი გარანტიები. რაც შეეხება დანარჩენ ორ მომჩივანს, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ჩვენება არ იყო არც ერთადერთი და არც გადამწყვეტი მათი მსჯავრდებისათვის და ადგილი არ ჰქონდა დაცვის უფლებების დარღვევას. ეს გადაწყვეტილება აჯამებს სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებულ სასამართლო დიალოგს, რომელიც ევროპული სასამართლოს მიერ ალ-ხავაჯა და ტაჰერის საქმეში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყო. წინამდებარე მომჩივნის საჩივრის განხილვისას უზენაესმა სასამართლომ შეისწავლა ზემოთხსენებული გადაწყვეტილება და დიდ პალატას მოუწოდა, რომ ხელახლა განეხილა საქმე. ალ-ხავაჯა და ტაჰერის

⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ჰორნქასლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ №4184/10

საქმეზე დიდი პალატის შემდგომი გადაწყვეტილება ეთანხმებოდა უზენაეს სასამართლოს, რომ ერთადერთ და გადამწყვეტ მტკიცებულებასთან დაკავშირებული წესი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მკაცრი და მოუქნელი გზით. ძირითადი ფაქტები მომჩივნები, მაიკლ ქრისტოფერ ჰორნქასლი, დევიდ ლი ბლექმორი, აბიაჰ მარქესი და ჯოზეფ დევიდ გრეჰემი- 1980, 1981, 1978 და 1981 წელს დაბადებული ბრიტანეთის მოქალაქეები გახლდნენ. ისინი ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან. 2007 წლის ნოემბერში ნაფიც მსაჯულთა ერთხმად მიღებული ვერდიქტით ბ-ნი ჰორნქასლი და ბ-ნი ბლექმორი მსჯავრდებულად ცნეს სხეულისთვის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებისათვის. დაზარალებულმა პოლიციას მისცა წერილობითი ჩვენება. მან ამოიცნო თავისი თავდამსხმელები. დაზარალებული გარდაიცვალა სასამართლო პროცესის დაწყებამდე ავადმყოფობით, რომელიც დაკავშირებული არ იყო ამ შემთხვევასთან. ჩვენება სასამართლო პროცესზე დაუშვეს მომჩივანთა წინააღმდეგ მტკიცებულებად. 2008 წლის 12 მაისს ბ-ნი მარკი და ბ-ნი გრეჰემი მსჯავრდებულად ცნეს ქალბატონის საკუთარი სახლიდან გატაცების გამო. გატაცების დროს, ისინი მას ემუქრებოდნენ ზიანის მიყენებით. დაზარალებულმა და თავისმა მეუღლემ თავდაპირველად პოლიციას მისცეს წერილობითი ჩვენებები, თუმცა მოგვიანებით უარი განაცხადეს სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოსვლაზე, რადგან მათ ეშინოდათ, რომ მათ ოჯახებს საფრთხე შეექმნებოდათ. დაზარალებულის ჩვენება მიღებულ იქნა მომჩივანთა წინააღმდეგ მტკიცებულებად, მაგრამ მოსამართლემ უარი თქვა მისი მეუღლის ჩვენების მტკიცებულებად დაშვებაზე. მომჩივნებმა გაასაჩივრეს მათი მსჯავრდებები სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ ისინი არ დაკმაყოფილდა 2009 წლის მაისში. შემდგომ მათ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც ასევე არ დაკმაყოფილა მათი მოთხოვნა 2009 წლის დეკემბერში. საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შემადგენლობა ქვეპუნქტზე (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მოწმეთა სასამართლო პროცესზე დასწრებისა და დაკითხვის უფლება) დაყრდნობით მომჩივნები დავობდნენ, რომ დაზარალებულთა წერილობითი ჩვენებების სასამართლო პროცესზე დაშვებით ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს მათი უფლება, დაეკითხათ მოწმეები, რომლებმაც მისცეს მათ წინააღმდეგ ერთადერთი ან გადამწყვეტი ჩვენება. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეიტანეს 2010 წლის 7 იანვარს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის თანმიმდევრულად უსვამდა ხაზს, რომ მტკიცებულების დასაშვებობა იყო ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლოების რეგულირების საგანი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამოცანას წარმოადგენდა იმის შეფასება, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანად სამართლიანი. მან გაიმეორა რომ ბრალდებულის წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო განხილვაზე, რათა არსებობდეს გასაჩივრების

შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ამ პრინციპის მიხედვით დადგინდა ორი მოთხოვნა: უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი და როდესაც მსჯავრდება მარტოდენ ან გადამწყვეტად დაფუძნებულია სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენებაზე, შეიძლება ეს იყოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან შესაბამისი, თუ არსებობს საკმარისი საპირწონე ფაქტორები, მათ შორის ძლიერი პროცედურული გარანტიები, რათა მოხდეს მტკიცებულების სამართლიანი და სათანადო შეფასება. მომჩივნებს არ გაუსაჩივრებიათ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენების დაშვებას, ვინაიდან დაეთანხმნენ, რომ არსებობდა ძლიერი გარანტიები, რომელიც მიზნად ისახავდა გაერთიანებულ სამეფოში სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველყოფას. მათ ეჭვი შეიტანეს, თუ რამდენად სათანადოდ გამოიყენეს ეს მექანიზმები. როგორც ახსნილი იყო ალ-ხავაჯა და ტაჰერის საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი დასმული კითხვები თითოეულ საქმეში იყო: არსებობდა თუ არა მოწმეთა გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი; იყო თუ არა მოწმეთა ჩვენებები „ერთადერთი ან გადამწყვეტი“; და თუ ასე იყო, მიუხედავად ამისა, არსებობდა თუ არა ადეკვატური საპირწონე ზომები. ბ-ნი ჰორქასლი და ბ-ნი ბლექმორი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ მსხვერპლის სიკვდილმა აუცილებელი გახადა მისი ჩვენების დაშვება სასამართლო პროცესზე, თუ აუცილებელი იყო მისი ჩვენების განხილვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმის გადაწყვეტისას, იყო თუ არა მსხვერპლის ჩვენება გადამწყვეტი მომჩივანთა მსჯავრდებისათვის, აფასებს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე აცხადებდა, რომ ბრალდების მხარე მთლიანად ეფუძნებოდა დაზარალებულის ჩვენებას, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მომჩივანთა მსჯავრდებები „გადამწყვეტი ხარისხით“ ეფუძნებოდა დაზარალებულის ჩვენებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანთა აღიარება, რომ ისინი იყვნენ დაზარალებულის სახლში იმ ღამეს, როდესაც დაზარალებულზე მოხდა თავდასხმა, იყო იმგვარი, რომ თავად დაზარალებულის ჩვენება არ იყო გადამწყვეტი იმ კუთხით, რომ მას განესაზღვრა საქმის შედეგი. თუმცადა, თუნდაც იმის ვარაუდისას, რომ ჩვენება იყო „გადამწყვეტი“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ არსებობდა საკმარისი საპირწონე ფაქტორები, რომ მომხდარიყო ჩვენების სასამართლო პროცესზე დაშვებით გამოწვეული ნებისმიერი სირთულის კომპენსირება. ეროვნული კანონმდებლობის გარანტიები სათანადოდ იქნა

გამოყენებული სასამართლო პროცესის განხილველი მოსამართლის მიერ. ბრალდების მხარის სხვა მტკიცებულებათა სიძლიერემ და სასამართლოს განხილველი მოსამართლის მიერ მიცემულმა ფრთხილმა მიმართულებებმა ნაფიც მსაჯულებს მისცა შესაძლებლობა, მომხდარიყო დაზარალებულის ჩვენების სანდოობის სამართლიანად და სათანადოდ შეფასება. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ არსებობდა სათანადო მიზეზი, თუ რატომ არ დაესწრო დაზარალებული სასამართლო განხილვას ჩვენების მისაცემად. პროცესის განხილველმა მოსამართლემ სათანადოდ გამოიკვლია დაზარალებულის შიშის ბუნება, ფარგლები და საფუძვლები. მისი მოტაცების დროს გახორციელებულმა მუქარებმა, და ფაქტმა, რომ მას ჩვენების მიცემას ერჩივნა რომ იგი დაეპატიმრებინათ, დაარწმუნა მოსამართლე, რომ დაზარალებული იყო გასაჭირში. ყველა ხელმისაწვდომი ზომა იქნა მიღებული, რათა მისი დასწრება უზრუნველყოფილიყო. საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაზარალებულის ჩვენება არ მიიჩნია გადამწყვეტად. მეორე მხრივ, ხელმისაწვდომი იყო დამოუკიდებელი მტკიცებულება, მათ შორის მოტაცების დროს მსხვერპლის სახლის გარეთ ბ-ნი გრეჰემის ყოფნის ამსახველი კადრები, უდავო სატელეფონო ჩანაწერი, რომელიც აჩვენებდა ბ-ნი მარკის ტელეფონიდან დაზარალებულის მეუღლის ტელეფონზე განხორციელებულ ზარებს მოტაცების დამეს და მტკიცებულება, რომ მომჩივნები დაბინავდნენ სასტუმროში მოტაცების დამეს იმ მანქანით, რომელიც მათ მოპარეს დაზარალებულს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაზარალებულის ჩვენება არ იყო მომჩივანთა მსჯავრდების ერთადერთი ან გადამწყვეტი საფუძველი. აუცილებელი არ იყო იმის შეფასება, არსებობდა თუ არა საკმარისი საპირწონე ფაქტორები. შესაბამისად, არ დარღვეულა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი ბ-ნ მარკსა და ბ-ნ გრეჰემთან მიმართებით.⁴⁴

ირიბი ჩვენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით იქსი გერმანიის წინააღმდეგ (საჩივარი № 8414/78)⁴⁵ განჩინება სტრასბურგი, 4 ივლისი/1979წ. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე მუხლის თანახმად, მოწმეები დაკითხული უნდა იყვნენ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. სსკ-ს 251-ე მუხლის მიხედვით, გამონაკლის შემთხვევებში, ნებადართულია მოწმეთა მიერ სასამართლო დაკითხვამდე მიღებული ჩვენების გამოყენება. საქმის განხილველ მოსამართლეს, მოწმის

⁴⁴ წყარო: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi2.pdf>

⁴⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება “იქსი გერმანიის წინააღმდეგ“, № 8414/78;

დაკითხვის დროს, შეუძლია მის მიერ პოლიციისათვის მიცემული ჩვენება გამოიყენოს და პოლიციის ოფიცერს, რომელმაც მოწმის დაკითხვა განახორციელა, საქმის განხილვის დროს შეუძლია შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა. კომისია აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეზე პოლიციის წინაშე მოწმეების მიერ ჩვენებების მიცემისას აღნიშნული პრინციპები იქნა გამოყენებული. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია მიიჩნევს, რომ მსგავსი პროცედურა არ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პარაგრაფით გათვალისწინებულ “სამართლიანი განხილვის” უფლებას. კერძოდ, აღნიშნული დებულება, არ გამორიცხავს, რომ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით სასამართლოს შეუძლია ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობა, თუ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით მსგავსი მტკიცებულები არ იქნება გამოყენებული კანონის დარღვევით. წინამდებარე საქმეზე გერმანიის სასამართლოების მიერ ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობა არ იყო უსამართლო. კომისია აღნიშნავს, რომ პირის მიმართ წაყენებული ბრალდება არ ეფუძნებოდა მხოლოდ მოწმეთა მიერ პოლიციისათვის მიცემულ ჩვენებებს, არამედ, აგრეთვე გამოყენებული იქნა ქ-ნი გ.-ს ჩვენება, რომელმაც სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მან ჰეროინი მომჩივნისაგან მიიღო. ბრალდება ასევე ეფუძნებოდა, პოლიციის ორი ოფიცრის ჩვენებას, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ მომჩივნის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და შენახვის კვალს მიაგნეს. კომისია საბოლოოდ აღნიშნავს, რომ პოლიციისა და სასამართლოს წინაშე მოწმეების მიერ წინააღმდეგობრივი ჩვენების მიცემის გათვალისწინებით, რაიონულ და რეგიონულ სასამართლოებს მათი განცხადებების სანდოობის კუთხით უნდა ემსჯელათ. კომისია ადგენს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღებით შეისწავლა აღნიშნული საკითხი და რომ მათ მიერ სანდოობის განსაზღვრა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევასთან დაკავშირებით ეჭვებს არ წარმოშობს. კომისია ადგენს, რომ ეროვნული სამართალწარმოების შემოწმების შედეგად ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

4.4. ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ში ირიბი ჩვენების საკანონმდებლო რეგულაციას ადგენს მტკიცებულების შესახებ ფედერალური წესები (Federal Rules of Evidence). მასში მოცემული განსაზღვრების მხიედვით, ირიბი ჩვენება წარმოადგენს განცხადებას, რომელსაც: ა) *განმცხადებელი არ აკეთებს მიმდინარე სასამართლო პროცესზე ან მოსმენაზე; ბ) მხარე წარმოადგენს მტკიცებულების სახით ჩვენებას იმ ფაქტის ნამვილობის დასამტკიცებლად, რომელიც გაცხადებულია ამ ჩვენებაში (პირველადი წყაროდან მიღებული ინფორმაციის დადასტურების მიზნით).*⁴⁶

აქტი განსაზღვრავს ირიბი ჩვენების დასაშვებობის შემოწმების ორ განსხვავებულ მოდელს: 1. *როცა არ არის დამტკიცებული, რომ განმცხადებლის სასამართლოში გამოცხადება შეუძლებელია; 2. როცა განმცხადებლის სასამართლოში დაკითხვა შეუძლებელია. პირველ შემთხვევაში, ირიბი ჩვენება დასაშვებად შეიძლება ცნოს სასამართლომ მიუხედავად იმისა, ობიექტურად შესაძლებელია თუ არა განმცხადებლის სასამართლო სხდომაზე დაკითხვა, თუკი განცხადება გაკეთებულია ფსიქიკური ალელეების მგომარეობაში, კონკრეტულ მომენტში არსებულ ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ ემოციურ მგომარეობაზე გაკეთებული განცხადება, საჯარო ჩანაწერები და ა.შ.*

ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველწყაროს სანდოობას, კერძოდ - რა ვითარებაში გაკეთდა აღნიშნული განცხადება, რა მიზნებით და რამდენად არსებობდა განზრახ ცრუ ინფორმაციის გავრცელების ინტერესი. როდესაც პირველადი განმცხადებელი ხელმიუწვდომელია სასამართლოსთვის, ამ დროს მოსამართლე ამოწმებს ორ გარემოებას - რა იყო გამოუცხადებლობის საფუძველი და რა ინფორმაციას მოიცავს განცხადება.⁴⁷

მოწმე სასამართლოსთვის მიუწვდომლად ითვლება შემდეგ შემთხვევებში: 1. *როცა თავად სასამართლო ანიჭებს პირს გამოუცხადებლობის პრივილეგიას; 2. სასამართლოს ბრძანების მიუხედავად, პირი უარს აცხადებს გამოცხადებაზე; 3. პირი აცხადებს, რომ აღარ ახსოვს საქმის ფაქტობრივი გარემოებები; 4. შეუძლებელია მისი პროცესზე გამოცხადება გარდაცვალების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო; 5. მისმა მომწვევემა მხარემ, ყველა გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, ვერ უზრუნველყო მოწმის გამოცხადება. მას შემდეგ, რაც დადგინდება გამოუცხადებლობის საფუძველები, სასამართლო ასევე ამოწმებს განსახილველ ჩვენებას შინაარსობრივი თვალსაზრისითაც.*⁴⁸

⁴⁶ Federal Rules of Evidence, Article VIII, Hearsay, 2018, <https://www.law.cornell.edu/rules/fre/rule801>

⁴⁷ იქვე: <https://www.law.cornell.edu/rules/fre/rule801>

⁴⁸ სისხლის სამართლის ქრონიკები, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, ე. ჩაჩუა, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, თბ., 2018 წ., გვ. 127

ზოგადად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ირიბი ჩვენების დაშვების წინააღმდეგ არსებული წესიდან გამონაკლისების საკმაოდ ფართო ჩამონათვალია. ჩამონათვალი მოცემულია მტკიცებულების მიღების ფედერალური წესების 803-ე და 804-4 მუხლებში:

გამონაკლისი ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესიდან - მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა დეკლარანტის/განმცხადებელის მოწმის სახით დაკითხვა ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესი არ ეხება ქვემოთ ჩამოთვლილ განცხადებებს, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა განმცხადებელის მოწმის სახით დაკითხვა:

- დაუყოვნებლივი შთაბეჭდილება - განცხადება, რომელიც აღწერს ან განმარტავს შემთხვევას ან მდგომარეობს, რომელიც გაკეთებულია დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა აღიქვა იგი;
- აღელვებით გაკეთებული განაცხადი - განცხადება, რომელიც დაკავშირებულია ამაღელვებელ შემთხვევასთან ან მდგომარეობასთან და გაკეთებულია იმ პერიოდში, როდესაც დეკლარანტი აღელვების სტრესის ქვეშ იყო;
- იმ მომენტში არსებული ფსიქიკური, ემოციური ან ფიზიკური მდგომარეობა - განცხადება წარდგენილი მაშინდელი სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით ან ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.
- განცხადება, რომელიც გაკეთდა სამედიცინო დიაგნოსტიკის ან მკურნალობისათვის. განცხადება, რომელიც: ა) გაკეთდა და გონივრულად შეესაბამება სამედიცინო დიაგნოსტიკას ან მკურნალობას; ბ) აღწერს სამედიცინო ისტორიას; ძველ ან ახლანდელ სიმპტომებს ან შეგრძნებებს; მათ დასაწყისს; ან სხვა ზოგად მიზეზებს;
- აღბეჭდილია მოგონებებში. ჩანაწერი, რომელიც: ა) შეეხება იმ საკითხს, რომელიც მოწმემ ადრე იცოდა, მაგრამ ახლა იმდენად კარგად არ ახსოვს, რომ სრულად და ზუსტად მისცეს ჩვენება; ბ) მოწმის მიერ გამჟღავნდა მაშინ, როდესაც ეს საკითხი მის მეხსიერებაში ჯერ კიდევ სიახლე იყო; და გ) ზუსტად ასახავს მოწმის ცოდნას;
- ჩანაწერი რეგულარულად გახორციელებულ აქტივობებზე. ჩანაწერები ქმედების, მოვლენის, მდგომარეობის, აზრის ან დიაგნოზის თაობაზე, თუ: ა) ჩანაწერები გაკეთდა იმ დროს, იმ პირის მიერ, ვისაც ჰქონდა აღნიშნულის ან გადაცემული ინფორმაციის შესახებ ცოდნა; ბ) ჩანაწერი რეგულარულად კეთდებოდა ჩატარებული ბიზნესის, ორგანიზაციის, საქმიანობის მიმდინარეობისას, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი შემოსავლის მიღებისკენ მიმართული; გ) ჩანაწერის გაკეთება აღნიშნული საქმიანობისათვის რეგულარული პრაქტიკა იყო; დ) ყველა ეს პირობები ნაჩვენებია მეურვის ან სხვა სათანადო მოწმის ჩვენებით; ე) არც

ინფორმაციის წყარო და არც მეთოდი ან მომზადების გარემოებები არ მიუთითებს არასანდოობაზე;

- საჯარო ჩანაწერები. საჯარო მოხელის ჩანაწერი ან განცხადება, თუ: ა) ის მოიცავს: I. დაწესებულების საქმიანობას; II. საკითხი შესწავლილია სამართლებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ანგარიშის გასაკეთებლად, მაგრამ ეს არ ეხება სისხლისსამართლებრივი საქმეს ან სამართალდამცავი პირების მიერ საკითხის შესწავლას; ან III. მთავრობის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე, ფაქტის დადგენა სამართლებრივად უფლებამოსილი გამოძიების შედეგად. ბ) ასეთი ინფორმაციის სავარაუდო წყარო და სხვა გარემოებები არ უმიუთითებს სანდოობის ნაკლებობაზე;
- საჯარო ჩანაწერები მოსახლეობის სასიცოცხლო სტატისტიკის შესახებ. ჩანაწერი დაბადების, გარდაცვალების ან ქორწინების შესახებ, თუ ჩანაწერი გაკეთებულია საჯარო დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად;
- რელიგიური ორგანიზაციების ჩანაწერები, რომლებიც შეეხება პირად ან ოჯახურ ისტორიას. განცხადება დაბადების, კანონიერად შობილობის, წარმომავლობის, ქორწინების, განქორწინების, სისხლით ან ქორწინებით ურთიერთობის, ან მსგავსი ფაქტები პირადი ან ოჯახური ისტორიიდან, რომელიც მოცემული იყო რელიგიურ ორგანიზაციაში რეგულარულად მიმდინარე ჩანაწერებში;
- ქორწინების, ნათლობის და მსგავსი ცერემონიების მოწმობა. განცხადება ფაქტის შესახებ, რომელსაც შეიცავს მოწმობა: ა) გაკეთებულია იმ პირის მიერ, რომელიც რელიგიური ორგანიზაციის ან კანონის მიერ არის უფლებამოსილი შეასრულოს დამოწმებული აქტი; ბ) დადასტურებაა იმისა, რომ პირმა იქორწინა ან სხვა მსგავსი ცერემონია განახორციელა ან ჯვარი დაიწერა; გ) აღნიშნავს, რომ გაცემულია ქმედების გახორციელების დროს ან გონივრულ ვადაში მას შემდეგ;
- საოჯახო ჩანაწერები. ფაქტის კონსტანტირება პირადი ან ოჯახური ისტორიის თაობაზე, რომელიც შესულია ოჯახურ ჩანაწერში, როგორცაა ბიბლია, გენეალოგია, სქემა, გრავიურა ბეჭდზე ან პორტრეტზე წარწერა;
- ჩანაწერები იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ქონების მიმართ ინტერესზე გავლენას ახდენს;
- განცხადებები იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ქონების მიმართ ინტერესზე გავლენას;
- განცხადებები ძველ დოკუმენტებში. განცხადება, რომელიც ისეთ დოკუმენტშია, რომელიც სულ მცირე 20 წლის წინ არის შედგენილი და რომლის ნამდვილობაც დადგენილია;

- ბაზრის ანგარიშები და მსგავსი კომერციული პუბლიკაციები. ბაზრის ციტატები, სიები, მაჩვენებლები ან სხვა კომპილაციები, რომლებსაც საზოგადოება ან გარკვეული პროფესიის პირები ეყრდნობიან;
- განცხადებები ხელშეკრულებებში, ბროშურებში ან პერიოდულ გამოცემებში. განცხადება, რომელსაც შეიცავს ხელშეკრულება, პერიოდული გამოცემა ან ბროშურა, თუ: ა) განცხადებაში ყურადღება გამახვილებულია ექსპერტი მოწმის ჯვარედინ დაკითხვაზე ან ეყრდნობა ექსპერტის პირდაპირ დაკითხვას; და ბ) პუბლიკაცია, რომელიც ექსპერტის ჩვენებით და კიდევ ერთი ექსპერტის ან სასამართლო ცნობის მეშვეობით, დადგენილია, როგორც სანდო დამამტკიცებელი საბუთი. თუ დასაშვებად ცნობენ, განცხადება შეიძლება მიჩნეული იყოს მტკიცებულებად, მაგრამ მას სასამართლო პროცესზე არ განიხილავენ;
- ინფორმაცია, რომელიც შეეხება პირად ან ოჯახურ ისტორიას. ინფორმაცია პირის სისხლით ნათესავის, შვილად აყვანილის, ან ქორწინებას. ასევე ინფორმაცია პირის პარტნიორისგან ან საზოგადოებიდან, რომელიც ეხება პირის დაბადებას, შვილად აყვანას, კანონიერად დაბადებას, წარმომავლობას, განქორწინებას, სიკვდილს, სისხლით ნათესაობას, ქორწინებას, პერსონალური ან ოჯახური ისტორიასა და მსგავს ფაქტებს;
- რეპუტაცია ზოგად ისტორიასთან და საზღვრებთან დაკავშირებით. საზოგადოებაში არსებული რეპუტაცია - წარმოშობილი დაპირისპირებამდე - რომელიც დაკავშირებულია მიწის საზღვრებთან და ჩვეულებებთან, რომელიც გავლენას ახდენს მიწაზე ან ზოგად ისტორიულ მოვლენებზე, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსთვის ან ერისთვის. გამონაკლისი ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესიდან - როდესაც განმცხადებელი მიუწვდომელია მოწმედ დაკითხვისათვის; გამონაკლისები - ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესი არ ეხება ქვემოთ ჩამოთვლილ განცხადებებს, თუკი დეკლარანტი/განმცხადებელი მიუწვდომელია მოწმედ დაკითხვისათვის:

1. მოწმის ძველი ჩვენება;

2. განცხადება, რომელიც გაკეთებული იყო მოახლოებული სიკვდილის რწმენის ქვეშ;

3. განცხადება მიმართული ინტერესის საწინააღმდეგოდ;

განცხადება: ა) რომელსაც დეკლარანტის პოზიციაში მყოფი გონიერი პირი გააკეთებდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სჯეროდა, რომ სიმართლეს ამბობდა, რადგან, როდესაც განაცხადა, იგი იმდენად ეწინააღმდეგებოდა დეკლარანტის საკუთრების ან მატერიალურ ინტერესს ან იმდენად დიდი იყო იმის მიდრეკილება, რომ ვიღაცის მიმართ დეკლარანტის მოთხოვნას ძალა დაეკარგებოდა

ან მას სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხის წინაშე აყენებდა; და ბ) რომელსაც განამტკიცებს დამადასტურებელი გარემოებები, რომლებიც ნათლად მიუთითებს მის საიმედოობაზე, თუკი იგი შემოთავაზებულია სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც განცხადება, რომელიც დეკლარანტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხეში ჩაგდებისკენ არის მიმართული; განცხადება პირადი ან ოჯახური ისტორიის თაობაზე; განცხადება, რომელიც: ა) ეხება პირადად დეკლარანტის დაბადებას, შვილად აყვანას, კანონიერად შობილობას, წარმომავლობას, ქორწინებას, განქორწინებას, სისხლით ნათესაობას, შვილებას, ქორწინებას ან პირადი ან ოჯახური ისტორიის მსგავს ფაქტებზე, მიუხედავად იმისა, რომ დეკლარანტს არ ჰქონდა გზა, რათა მოეპოვებინა ფაქტის შესახებ ცოდნა; ან ბ) ეხება სხვა პირს, თუკი დეკლარანტი დაკავშირებული იყო მასთან სისხლით, შვილად აყვანით, ან ქორწინებით ან იმდენად მჭიდროდ ასოცირდებოდა პირის ოჯახთან, რომ დეკლარანტის ინფორმაცია სავარაუდოდ ზუსტი უნდა იყოს; განცხადება მიმართული იმ მხარის წინააღმდეგ, რომელმაც არაკანონიერად გამოიწვია მოწმის მიუწვდომლობა; განცხადება მიმართული იმ მხარის წინააღმდეგ, რომელმაც არაკანონიერად გამოიწვია, ან ირიბად დაუშვა მოწმის მიუწვდომლობა და ეს გააკეთა დამდგარი შედეგის განზრახვით.⁴⁹

ანგლო-ამერიკულ სისხლის საპროცესო სამართალში მოწმის ირიბი ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობა ზოგადად უარყოფილია შემდეგი არგუმენტებით: პირველ რიგში, მიაჩნიათ, რომ ინფორმაციის გამავრცელებელი პირველადი წყარო ნაკლებად სანდოა, რადგან მისგან ინფორმაცია მიღებულია ფიცის გარეშე; შემდეგ აღნიშნავენ, რომ მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს არ აქვთ შესაძლებლობა, ჩვენების მიცემის დროს უშუალოდ დააკვირდნენ ინფორმაციის პირველად წყაროს. ასევე, არსებობს იმის დიდი საფრთხე, რომ ირიბი ჩვენების მიმცემი სასამართლოს ვერ მიაწვდის სრულფასოვნად და შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე ორიგინალ ინფორმაციას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ირიბი ჩვენების საწინააღმდეგოდ მიუთითებენ, რომ ასეთი ჩვენება საფრთხეს უქმნის საქმეზე ქეშამრიტების დადგენას, რადგან მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა, ჯვარედინი დაკითხვის საშუალებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს როგორც ინფორმაციის სანდოობა, ისე მოწმის მიერ მისი სწორად დამახსოვრების, აღქმისა და გადმოცემის უნარი.⁵⁰

⁴⁹ საერთაშორისო კვლევები - ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების

კანონმდებლობა და პრაქტიკა <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi4.pdf>

⁵⁰ გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბ., 2014 წ., გვ. 88

დასავლეთ ევროპული ქვეყნების ნაწილი მოკლე და კონკრეტულ გამონაკლისებს უშვებს ირიბი ჩვენების დასაშვებობისას. ამერიკული მოდელი მოიცავს საკმაოდ ფართო გამონაკლისებს, ასევე ფართოა კანადური მოდელიც, თუმცა ამ შემთხვევაში ფაქტის შეფასება მოსამართლეზეა დამოკიდებული. ირლანდიასა და ბრიტანეთში პრეცედენტული სამართლით დადგენილი წესები არაერთმნიშვნელოვანია, ბალანსია დაცული მოსამართლის დისკრეციასა და კონკრეტული გამონაკლისების განსაზღვრას შორის. ქართულ საპროცესო სამართალს ყველაზე კარგად შეესაბამება ესტონური მოდელი სადაც კონკრეტული გამონაკლისები ჩამოთვლილია საკანონმდებლო დონეზე.

თავი V. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. შემდეგი თავი ეხება ირიბი ჩვენების წესის არსაა და წარმოშობის ისტორიას, შემდეგ კი განხილულია ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება.

მომდევნო თავში განხილული ჩვენების ცნებასა და მნიშვნელობას მოსდევს ირიბი ჩვენება ქართულ კანონმდებლობაში, სადაც ვხედავთ, რამდენად სწორად არის გაგებული ცნების მნიშვნელობა და რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული ის ქართულ კანონმდებლობაში. აქვე მოგვყავს მაგალითად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება.

შედარებითი ანალიზის მეთოდით განვიხილავთ მომდევნო თავსა და მის ქვეთავებს, სადაც მოცემულია საერთაშორისო კანონმდებლობა, ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები, ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები და მისი კანონმდებლობა, რომელთა შედარებით ქართულ კანონმდებლობასთან დავინახეთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.

როგორც მოცემულ თავებში ვნახეთ, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მისი უფლებაა და არა მოვალეობა ისევე, როგორც ბრალდებულის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემამდე დადებული ფიცი არ ხელყოფს მის უფლებას, არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ, მაგრამ თუ ბრალდებული უარს ამბობს დუმილის უფლებით სარგებლობაზე, იგი სასამართლო სხდომაზე იკითხება მოწმის სახით და მას საერთო წესით ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.⁵¹ საკითხის ამდაგვარად ჩამოყალიბება პრობლემას ქმნის პრაქტიკაში და ხშირად იწვევს გაურკვეველობას თუ სად მთავრდება ბრალდებულის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ და სად იწყება მისი ვალდებულება არ იცრუოს სასამართლოში ჩვენების მიცემისას? როდის შეიძლება გახდეს ბრალდებულის ცრუ ჩვენება სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტი, როცა ის ცრუობს მისი დანაშაულში არ მონაწილეობის თვალსაზრისით თუ, როცა ის მისთვის ბრალად შერაცხულ დანაშაულში ამხელს სხვა პიროვნებას. სამწუხაროდ ამ კუთხით სრულყოფილი ინფორმაციისა თუ სასამართლო პრაქტიკის მოძიება ვერ მოხერხდა, გარდა პროცესორ გიორგი

⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48(7) მუხლი;

თუმანიშვილის მოსაზრებისა, რომლის თანახმადაც ბრალდებული სწორედ იმით განსხვავდება მოწმისაგან, რომ თუკი მოწმე პასუხს აგებს ცრუ ჩვენების მიცემისთვის, ბრალდებულს შეიძლება პასუხისმგებლობა მხოლოდ ცრუ დასმენისათვის დაეკისროს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის შესაბამისად⁵².

⁵² გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014 წელი, გვ. 212

დასკვნა

ნაშრომის დასასრულს, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული კონსტიტუციური ნორმა ადგენს, რომ განაჩენი მხოლოდ მტკიცებულებებს უნდა ეყრდნობოდეს. ეს გარანტია გამოირიცხავს, მტკიცებულებების გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრებას. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში არის განაჩენის დადგომისთვის უალტერნატივო საშუალება. სისხლის სამართლის საქმისათვის რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების არსებობა დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით. მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარმოდგენისა და საწინააღმდეგო მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ეჭვქვეშ დაყენებით, მხარეები ცდილობენ, დაადასტურონ ან უარყონ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის, ისევე როგორც მართლმსაჯულების გახორციელებისას, ზოგადად, სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის ან შეცდომის დაშვების საფრთხეს. სახელმწიფოს ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიებისკენ არის მიმართული, არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული. გონივრულმა, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით გააჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება. ასეთია კანონის უზენაესობის პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნა. თვითნებობისა და შეცდომის თავიდან აცილება ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას, რეალური დამნაშავის გამოვლენას და შემდგომ მის მსჯავრდებას.

როგორც ზემოთ ითქვა, მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს იმას, რომ საეჭვო, მცდარი ან სავარაუდოდ გაყალბებული მტკიცებულებები გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან. გამოირიცხული უნდა იყოს გონივრული ეჭვი წარდგენილი მტკიცებულების ნამდვილობასთან და სანდოობასთან დაკავშირებით. სათანადო პროცესუალური სტანდარტების შემცველი, არაორაზროვანი ნორმების საფუძველზე,

სასამართლოს, კონკრეტული საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა შეეძლოს წარმოდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობის, მათი მნიშვნელობისა და უტყუარობის შეფასება. შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია, აღჭურვოს სასამართლო სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც მას ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის ან, ასეთ ჩვენებაზე დაყრდნობით, განაჩენის მიღებაში დაეხმარება.

სისხლის სამართლის პროცესში დასაშვები უნდა იყოს ისეთი მტკიცებულება, რომლის სანდოობა, ზოგადად, არ იწვევს ეჭვს და, როგორც წესი, ინფორმაციის სანდო წყაროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასე მაგალითად, ეჭვს არ იწვევს, რომ თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ამოღებული ნივთმტკიცებულება, ექსპერტის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება ან სხვა მსგავსი სახის მტკიცებულება ინფორმაციის სანდო წყაროს განეკუთვნება. შესაბამისად, კანონი მათ ბრალის დასადასტურებლად ვარგის და, ამდენად, დასაშვებ საშუალებად მიიჩნევს, რაც, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ასეთი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, იმთავითვე, შემოწმების გარეშე, სარწმუნოდ ჩაითვლება. საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ირიბ ჩვენებას ინფორმაციის სპეციფიკურ, სხვა მტკიცებულებებისაგან განსხვავებულ წყაროდ განიხილავს.

ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ირიბი ჩვენების კანონმდებლობიდან ამოღება დაუშვებელია მიუხედავად იმ პრობლემებისა, რასაც ზოგჯერ მისი არსებობა იწვევს. როდესაც პირის ბრალეულობის დამტკიცება ხდება ორი ან მეტი მტკიცებულების საფუძველზე, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ აქედან ერთ-ერთი იყოს ირიბი ჩვენება. ირიბი ჩვენება უნდა არსებობდეს, ის გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ხოლო მისი შეფასება უკვე მოსამართლის გადასაწყვეტი ხდება. სისხლის სამართლის კოდექსმა უნდა მიუთითოს ის გარემოებებიც, თუ რა დროს იქნება შესაძლებელი ირიბი ჩვენების გამოყენება. ზემოთ ითქვა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წესრიგდება და ეს გასაგებია, ვინაიდან ყველა ისე არეგულირებს საკითხს და ადგენს კანონს, როგორც ამას საკუთარ ქვეყანაში არსებული კულტურული, ეკონომიკური და სხვა გარემოებები კარნახობს. ამ განსხვავებულობის მიუხედავად, რომანულ-გერმანული და ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნებიც აღიარებენ ირიბი ჩვენების არსებობას და დროსთან ერთად კიდევ უფრო ხვეწენ მას, რათა ფართო ასპარეზი მისცენ და მეტად გამოიყენონ ეს ინსტიტუტი, როგორც ერთ-ერთი საჭირო მტკიცებულება, რაც ჩვენი ქვეყნისთვისაც საყურადღებო მაგალითია.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. თუმანიშვილი გ., „სისხლის სამართლის პროცესი“ (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბ., 2014;
2. იმნაძე გ., „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“, თბ., 2015;
3. ირიბი ჩვენებები, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა - საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, თბ., 2016;
4. „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“, (ავტორთა კოლექტივი), თბ., 2016;
5. „საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი“, (ავტორთა კოლექტივი), თბ., 2017;
6. „სისხლის სამართლის ქრონიკები“, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, თბ., 2018;
7. ტრექსელი შ., „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბ., 2009;
8. ურუშაძე ი., „ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში“, თბ., 2015;

უცხოური ლიტერატურა:

9. Consultation Paper Hearsay in Civil and Criminal Cases, 2010;
10. O'Mahony. P; Criminal Justice in Ireland, Dublin Inst. of Public Administration, 2002;
11. Turner Kenny's Outlines of Criminal Law, Cambridge University Press, 19th ed, 1966;
მოხსენიებულია: ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“, 2010;
12. Wigmore Evidence in Trials at Common Law (3rd ed Little Brown & Co., 1974), მოხსენიებულია: ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“, 2010;

სასამართლო პრაქტიკა:

13. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება “იქსი გერმანიის წინააღმდეგ“, № 8414/78;
14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ჰორნქასლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, №4184/10;

15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/1/548;

ნორმატიული აქტები:

16. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 (ახ. რედ.);
17. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;

ვებ. გვერდები:

18. ირლანდიის სამართლებრივი რეფორმების კომისია, საკონსულტაციო ნაშრომი, „ირიბი ჩვენება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში“, 2010 წ, <http://www.lawreform.ie/fileupload/hearsayfull.pdf> ;
19. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995, მუხლი 40, ნაწ. 3 <https://matsne.gov.ge> ;
20. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - გადაწყვეტილება 1/1/548 "საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2714193?publication=0> ;
21. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი №741 – II ს, 27.06.2013 წ. <https://matsne.gov.ge> ;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, <http://www.supremecourt.ge> ;
23. Federal Rules of Evidence, Article VIII, Hearsay, 2018, <https://www.law.cornell.edu/rules/fre/rule801>;
24. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi2.pdf>.